საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 13 დეკემბერი, 2013 წელი.

№241 (7369)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცეა, ფცეილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საკაშვილის შარანგიებს „ქართულ ოცნებაში“ ლობირებენ

3



მმართველ კოალიციას წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ქულები აუცილებლად დასჭირდება, არ არის გამორიცხული კომისიამ მუშაობა მომავალი წლიდან დაიწყოს და ივნისამდე, ანუ თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე ხმაურიანი საქმეც დადოს.

ცხვირიდან ძმარი თუ ევროკავშირის სამარილი?

4

სასაცლეებ-ჯიპებიანი მთავრობა და ღატაკთა არმია

6

ევროპული მეცნიერების მომავლისათვის

5

მმართველი კოალიცია ქარცეცხლში აღმოჩნდა - ბიუჯეტის პროექტში პენსიების გადიდების ნაცვლად შემოთავაზებულია სახელმწიფო აპარატის წევრებისა და ხელფასის გაზრდა

8

როგორ (ვერ) შევხვდი ნელსონ მანდელას

გარდაცვალებამდე ოცი წლიდან დღით ადრე

9

ბავშვთა პოლიკლინიკას მოზრდილებისაც მიაყოლეს

7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

თვითმმართველობის კოდექსის ალტერნატიული ვარიანტი

საქართველოს პარლამენტში თვითმმართველობის კოდექსის ალტერნატიული ვარიანტი შევიდა. პროექტი საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციას ეკუთვნის. ალტერნატიული კანონპროექტის ავტორების ინფორმაციით, მათ მთელი ქვეყნის მასშტაბით 30 000 ხელმოწერა შეაგროვეს.

როგორც ასოციაციაში აცხადებენ, მათ მიერ შემუშავებული პროექტი ხელისუფლების მიერ შემუშავებული პროექტისგან რადიკალურად განსხვავებულია და, მუნიციპალიტეტების დაშლის ნაცვლად, რეალურ დეცენტრალიზაციაზეა ორიენტირებული.

ამასთან, მათივე თქმით, კოდექსი თემის საბჭოების შექმნას ითვალისწინებს, რომლის წინაშეც სოფლის ადმინისტრაცია პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული იქნება.

როგორც ასოციაციის წარმომადგენლები აცხადებენ, კოდექსში გათვალისწინებულია ის საჭიროებები და ამოცანები, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე დგას და ის არსებულ გამოწვევებს რეალურად პასუხობს.

კანონპროექტის ავტორები ხელისუფლების მიერ შემუშავებულ კანონპროექტში გარკვეულ ნიუანსებს გაუაზრებელსა და დაუსაბუთებელს უწოდებენ.

რა სანქციებს ელოდება ბარამიძე?

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე პარლამენტში მომხდარ ჩხუბთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარისგან „ადეკვატურად მკაცრ რეაგირებას“ ელოდება.

როგორც გია ბარამიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ის რაც მოხდა, პროვოკაციაა.

— სანქციის ფორმა თავად უსუფაშვილმა უნდა მოძებნოს, ჩვენ მას არ ვუკარნახებთ, რა უნდა გააკეთოს, ის ძალიან კარგი იურისტია, — განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

მისივე განცხადებით, „ქართული ოცნება“ გაღიზიანებულია იმ ფაქტით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უკრაინის თემაზე საუბრობს.

მისივე განცხადებით, ინციდენტის მიზეზი, შესაძლოა, ისიც ყოფილიყო, რომ „ქართული ოცნების“ წევრებს სურთ ახალ პრემიერ-მინისტრს ასიამოვნონ.

— „ქართულ ოცნებაში“ მწარედ ცდებიან, როდესაც ჩვენთვის ადგილის მიჩენაზე საუბრობენ. ჩვენ ჩვენი ადგილი კარგად ვიცით. ოპოზიციაში ყოფნა ჩვენი მოვალეობაა და ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ მთავრობა. კრიმინალებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ ხალხმა მოგვცა მანდატი, — აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

მისივე თქმით, თუკი აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით რაიმე შეკითხვები არსებობს, მაშინ დაიწყონ ამ საქმეზე გამოძიება და ის მზად არის ყველა შეკითხვას უპასუხოს.

— ჯაჭვლიანის გამოსვლა შუღლის გაღვივების მცდელობას შეიცავდა. ის, რომ სვანებს ერჩიან, ეს არაფერ შუაში არ იყო. გამოსვლა შეიძლება შეფასდეს უზნეო და სახიფათო საქციელად, — აღნიშნა დეპუტატმა.

ოთხშაბათს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სოსო ჯაჭვლიანმა სიტყვით გამოსვლის დროს გია ბარამიძეს მიმართა — „ნუ ბლატაობ, შე ჩმორო“, რასაც პარლამენტში ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა.

ზურაბ ჟვანიას საქმე რამდენიმე თვეში გაიხსნება

— ამის შესახებ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ძმამ, დეპუტატმა გოგლა ჟვანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, გამოძიების პროცესი საკმაოდ წარმატებით, ინტენსიურად მიმდინარეობს და უახლოეს თვეებში დასრულდება. როგორც გარდაცვლილი პრემიერის ძმამ აღნიშნა, საქმის შესახებ უფრო დეტალურად ვერ ისაუბრებს, რადგან გამოძიების პროცესს ზედმეტი აჟიოტაჟი ნამდვილად არ უწყობს ხელს.

— გამოძიების პროცესი არის ძალიან კომპეტენტური ხალხის ხელში. მე ინტენსიური კონტაქტი მაქვს მათთან. ეს საქმე აუცილებლად გაიხსნება, ერთი წელიც არ გაგრძელდება, ეს საქმე გაიხსნება რამდენიმე თვეში, — განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

მიშა ორდენებს ისევ არიგებს

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დევიდ პეტრეუსს საქართველოს უმაღლესი საბრძოლო ჯილდო — გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი გადასცა.

ამის შესახებ ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის „ფეისბუქის“ გვერდზე გავრცელდა.

როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, საქართველოს უმაღლესი საბრძოლო ჯილდო ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მხედართმთავარს, ავღანეთის და ერაყის ოპერაციებისა და ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური შტაბის ყოფილ მეთაურს, ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს ყოფილ ხელმძღვანელს — გენერალ დევიდ პეტრეუსს, საქართველოს ჯარის მშენებლობისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა.

დაჯილდოების შესახებ განკარგულებას მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო დღეს მოეწერა ხელი.

მიხეილ სააკაშვილმა და დევიდ პეტრეუსმა ხანგრძლივი შეხვედრა გამართეს.

ინტერპრესი

◎ დედაქალაქის საკრებულო

ნარმანია კი არა, უგულავა უნდა მოვიდეს საკრებულოში და პასუხი გასცეს კითხვებს!

„გიგი უგულავა 3 წლისა 6 თვის განმავლობაში თბილისის საკრებულოში მხოლოდ ერთხელ იყო მოსული“, — განაცხადა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა სამუშიამ. როგორც მან „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საკრებულოს უმცირესობას არსებული კანონმდებლობით, დავით ნარმანიას, როგორც მთავრობის წევრის საკრებულოში დაბარების უფლება არ ჰქონდა. სამუშიას თქმით, თბილისში მიმდინარე, დაგეგმილ და განსახორციელებელ პროექტებზე არა მინისტრმა, არამედ ქალაქის მერმა უნდა აგოს პასუხი.

რაც შეეხება „ვეფხი და მოყმის“ ძეგლთან დაპროექტებული ხიდის მშენებლობის საკითხს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, თბილისში არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტი არათუ შეჩერებულა, არამედ, მსგავსი პროექტების რიცხვი გაიზრდება კიდეც, ოღონდ ეს მაშინ მოხდება, როცა პრიორიტეტები განისაზღვრება.

„თითოეული პროექტი იქნება გაანალიზებული, შესწავლილი სპეციალისტების მიერ. არ ვაპირებთ ისე მოვიქცეთ, როგორც „ნაციონალების“ მმართველობის დროს იყო, ერთ კაცს რომ მოუვიდოდა რაღაც თავში. ყველაფერი უნდა განისაზღვროს, უნდა განისაზღვროს რამდენად გამართლებულია იმ ხიდის აშენება, რამდენად განტვირთავს იმ მონაკვეთში საგზაო მოძრაობის კვანძებს. ვიწყებთ პროექტებზე მუშაობას სიღრმისეულად და ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ რამე პროექტი შეიძლება გაჩერდეს. არ ვაპირებთ ბოლშევიკური ტემპებით ქალაქის მართვას. უნდა განვსაზღვროთ თბილისის განვითარების გეგმა და მისი მიხედვით ვიხელმძღვანელოთ. რიყე, გმირთა მოედანი, შუშის ხიდი, რომელი ააშენეს, ისე რომ საკრებულოს ჰკითხეს რამე?! ვის შეეკითხნენ საკრებულოში, როცა კაზინო ჩადგეს სიონსა და საპატრიარქოს შორის და თბილისის ისტორიული უბანი დაამახინჯეს? ნარმანია კი არა, მერი მოვიდეს საკრებულოში და გასცეს პასუხი კითხვებს, კენჭის სროლა სხვა მიმართულებით უზნეობაა“, — განაცხადა სამუშიამ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აცხადებს, რომ თბილისში განხორციელებული ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტი უნდა ემსახურებოდეს ხალხის კეთილდღეობას და ბიუჯეტის ხარჯები მიზანმიმართულად უნდა იყოს გახარჯული.

ალა გრიგალაშვილი

თანამშრომელთა მასობრივი გათავისუფლებები მიუღებელია

— ასე ეხმაურება სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი მთავარ პროკურატურაში მიმდინარე საკადრო ცვლილებებს.

როგორც უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნულ უწყებაში მიმდინარე პროცესების შესწავლა სახალხო დამცველის აპარატმა უკვე დაიწყო.

— მასობრივი გათავისუფლებები არის მიუღებელი ნებისმიერი მოტივით. ყველა ასეთი გადაწყვეტილება უნდა იყოს სათანადოდ არგუმენტირებული და დასაბუთებული. ჩვენ დაწყებული გვაქვს საკითხის შესწავლა და ამ თემაზე სპეციალურ განცხადებას გავავრცელებთ, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

ამასთან, საქართველოს პროკურატურა ადასტურებს ორგანიზაციაში მიმდინარე საკადრო გადაადგილებებს, თუმცა თანამშრომლებზე ზეწოლის ნებისმიერ ფაქტს უარყოფს.

◎ ქვა ადმართში...

აჭარელი მეციტრუსეები ზარალს ვერ აუდიან

აჭარელი ფერმერები ჯერ ექსპორტის შეფერხებამ, ახლა კი მკვეთრმა უამინდობამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. შეიძლება ითქვას, ნარინჯისფერი მოსავლის დაბინავება ძალიან ცუდად მიმდინარეობს. დიდთოვლობამ და ყინვებმა ისედაც რთული ვითარება, გამოუვალი გახადა. მეციტრუსეები აცხადებენ, რომ მოსავლის უმეტესი ნაწილი ხეზე დარჩათ. ადგილობრივების თქმით, დათოვლილი ნაყოფი უკვე გაფუჭებული და გასაყიდად გამოუსადეგარია.

„ციტრუსი მალფუჭებადია და რომ დათბება, ყინვის „დანარტყამი“ მალევე დაეტყობა. ის ნაყოფი კი არავის უნდა, ფაქტობრივად, გადასაყრელია“, — აცხადებს აჭარის მკვიდრი თენგიზ შაქარიშვილი.

აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის არჩილ ხაბაძის განცხადებით, აჭარის მთავრობა თოვლისგან დაზიანებული ციტრუსის სუბსიდირებისთვის თანხას არ გამოყოფს. ადგილობრივ ბიუჯეტს ამის სახსრები არ აქვს. არადა, მეციტრუსეებისთვის რამდენიმე დღის წინათ დახმარების საკითხი დადებითად გადაიჭრა.

საქართველოს მთავრობის ბიუჯეტიდან გამოიყოფა 12 000 000 ლარი სტანდარტული მანდარინის დასაფინანსებლად, ხოლო აჭარის მთავრობა გამოყოფს 1 800 000 ლარს არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციის თანადაფინანსებისთვის. ფერმერები დაფინანსდებიან 15 თეთრით 1 კგ სტანდარტულ მანდარინზე, თუ მანდარინის შესყიდვა მოხდება არანაკლებ 35 თეთრად. აღნიშნული პრინციპით დაფინანსდებიან აჭარაში, გურიასა და სამეგრელოს რეგიონების მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მეციტრუსე ფერმერები.

ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ფერმერები ნაყოფის დაკრეფას და ჩაბარებას მოახერხებენ. ხეზე დატოვებული ციტრუსისთვის, ცხადია, სუბსიდირებას არავინ გასცემს. გლეხები კი სწორედ ნარინჯის რთველის სრულფასოვნად ჩატარებას ვერ ახერხებენ, რადგან ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია, ხოლო ექსპორტზე ქართული პროდუქტი დიდი შეფერხებით გადის. ჯერ ერთი, რომ უკრაინისკენ ქართული ციტრუსის გატანა შეიზღუდა, ხოლო რუსეთისკენ გზის საბოლოოდ გაკვალვა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. ამას ისიც დაერთო, რომ რამდენიმე დღეა ბათუმის პორტში შტორმის გამო გემები ვერ შედიან, შესაბამისად, ციტრუსის გადატვირთვა ვერ ხერხდება.

„აჭარა PS“-ის ინფორმაციით, გლეხებს აჭარაში ათეულობით ტონა მანდარინი ან უკვე სარდაფში აქვთ გამოკეტილი ან ხეზე ულპებათ და ხელისუფლებისაგან დაპირებულ დახმარებას ელოდებიან.

მარტო ქობულეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 13-მდე ციტრუსის შემფუთავი ქარხანა გაიხსნა, თუმცა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტკიცების მიუხედავად, რომ რეგიონში ციტრუსის მიღება წარმატებით მიმდინარეობს, არც ერთი მათგანი ან არ მუშაობს, ან გლეხს ხელსაყრელ პირობებს ვერ სთავაზობს.

აჭარელი მეწარმეების ინფორმაციით, ციტრუსის რეალიზაციის შეჩერება მარტო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრალი არ არის, შემფუთავმა ქარხნებმაც ვერ უზრუნველყვეს აღებული ვალდებულებების პირნათლად შესრულება. მათ დაბალი შრომითი დისციპლინის გამო, კლიენტები დაკარგეს, ვინაიდან ქარხნებმა დაბალი ხარისხის პროდუქცია დაუმზადეს.

აჭარის ანალოგიური პრობლემაა გურიასა და სამეგრელოშიც. აქ ციტრუსის ნაწილი ჯერ კიდევ დასაკრეფია, ხოლო უკვე დაკრეფილის გასაღება ვერ ხერხდება.

ეკა ბაძრაძე

◎ ადამიანი თავის ადგილზე

მიწყივ სიკეთის მთესველი

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ფეიქარი

ამბას წინათ, თვითონ ახსენა თავისი ასაკი... ხომ ვიცოდით, მაგრამ ვერაფრით ვაცნობიერებდით... სად ბატონ ჯემალ ალიბეგაშვილის შემართება, ენერგია, სიცოცხლის ხალისი, შრომის უნარი და სად 75 წელი.

უცბად გავაცნობიერეთ: თუ ცხოვრობ, ისე უნდა იცხოვრო, 75 წლის ასაკშიც მაგალითს აძლევდე შენზე ახალგაზრდებს.

ჯემალ ალიბეგაშვილი – საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ფეიქარი, 100-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი, გამომგონებელი, მეწარმე, შესანიშნავი შვილი და ძმა, დიდი ოჯახის მესვეური, მეგობრებისა და ნათესავების იმედი და ახალგაზრდებისათვის ნათელი მაგალითი ...

მისი მამა აკაკი ალიბეგაშვილი საქართველოში საფეიქრო დარგის განვითარების ერთ-ერთი პიონერი იყო. მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტში მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი, რომელსაც თვითონვე ჩაუდგა სათავეში. სამწუხაროდ, ის ძალიან ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. 3 წლის ჯემალი და მისი 10 თვის და – ჯილდა, ასე მოულოდნელად დაქვრივებულ ულამაზეს ქალბატონს, 23 წლის თამარ ბოჭორიშვილს დარჩა აღსაზრდელად. ქალბატონი თამარი მათემატიკის მასწავლებელი იყო, ჭეშმარიტი პედაგოგი. მან და მისმა ოჯახმა უმამობა არ აგრძნობინეს ბავშვებს. ჯემალმაც ადრეული ბავშვობიდანვე შეიცნო დეიდისა და ბიძების მზრუნველობის სიკეთე, დიდი ოჯახის მადლი, მამის ხსოვნის პატივისცემა. მისი თვისებების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა სოფლად პატიოსანი, განათლებული, მშრომელი, კეთილი, სამშობლოზე შეყვარებული ადამიანების გარემოცვაში გატარებულმა ბავშვობის წლებმა.

ბავშვობაშივე იჩინა თავი ჯემალ ალიბეგაშვილის მათემატიკურმა ნიჭმა და ანალიტიკური აზროვნების უნარმა. 1956 წელს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიგრაფიის სპეციალობის სტუდენტი გახდა. იყო სახელობითი სტიპენდიანტი. წარმატებული ახალგაზრდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში გაანაწილეს სამუშაოდ. მაგრამ მალე-ვე მიხვდა, რომ მამის გენები სხვა მიმართულებით ეწეოდა. მან სწავლა განაგრძო მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში, რომლის დასრულების შემდეგაც მუშაობა დაიწყო ახლადგახსნილ თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკაში, სადაც გაიარა შემოქმედებითი ზრდის გზა ქვეოსტატიდან მთავარ ინჟინრამდე. შემდეგ იყო წარმატებული კარიერა: შულავერის მატყლის სარეცხი ფაბრიკის მთავარი ინჟინრობა, თბილისის შალის საქსოვი ფაბრიკის და მაუდ-კამვოლური კომბინატის დირექტორობა. პრაქტიკულ საქმიანობას წარმატებით უთანხმებდა საფეიქრო მრეწველობის კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობას. ამ წლებში შეიქმნა მისი რაციონალიზატორული წინადადებების ერთი ნაწილი. ჯემალ ალიბეგაშვილის ხელმძღვანელობით გამოშვებული საფეიქრო პროდუქცია მუდამ დიდი მოწონებით სარგებლობდა მთელ საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მაგრამ მისი ცხოვრების მთავარი წარმატება იყო და არის ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რასაც იმკის ყველგან და ყოველთვის უანგაროდ დათესილი სიკეთის გამო... ვის ფიზიკურად დახმარებია, ვის – მატერიალურად, ვის – მორალურად. თავის ბავშვობის სოფელში, ჭოლებში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ზარები ჩამოჰკიდა დიდი ხნით დადუმებულ სამრეკლოზე. მის არქივში ნახავთ თანამშრომლების, მუშების, თანასოფლელების მადლობის წერილებს, ლექსებს, ნახატებს...

90-იანი წლების ბოლოს, როდესაც საფეიქრო წარმოება პრაქტიკულად სრულიად გაჩერდა საქართველოში, მან ჩამოაყალიბა სააქციო საზოგადოება და სამოქალაქო ომისა და ნგრევის წლებში უდანაკარგოდ მოახერხა საწარმოს პოტენციალის შენარჩუნება.

ბატონი ჯემალის მიერ წლების განმავლობაში შემუშავებული ცხოვრების რეჟიმი დღესაც უცვლელია. დილის 8 საათზე სამსახურშია. მუდამ ახალი გეგმებით არის აღსავსე; ყოველთვის აქვს რამდენიმე ვერსია წარმოების სამომავლო განვითარებისათვის. ამასთანავე, ის განეკუთვნება იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც დილით სამსახურისკენ მიუხარიათ, ხოლო საღამოს – შინისაკენ, ოჯახში. ჰყავს დიდებული მეუღლე, სათნო ქალბატონი – ირინა ზვიადაძე, ვისთან ერთადაც წარმატებული შვილები აღუზარდა ჩვენს საზოგადოებას – ექიმი თამარი და იურისტი აკაკი. ოთხი შვილიშვილის – თორნიკეს, სალომეს, ირინასა და ბექას ბაბუაა.

ახლადგამოცემული საქართველოს ისტორიის ოთხტომეული მისი სამაგიდო წიგნია. დარბაისელი თამადაა, რომელიც ყოველთვის საკუთარი ხელით დაწურულ ღვინოს შემოგთავაზებს. ხოლო თუ ბედმა გაგიღიმა და ბატონი ჯემალისა და მისი მეგობრების სუფრაზე მოხვდი, კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ ქართული სუფრა აკადემიაა.

ვულოცავთ, ბატონ ჯემალს ლამაზი ცხოვრების ამ საგულისხმო თარიღს!

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს იმ ნიჭის ბოლომდე დასახარჯად, რასაც სიყვარულის, სიკეთის კეთების და შრომის ნიჭი ქვია!

დიმიტრი კორძაია,
ზურაბ სულაძე,
ზაზა სულაძე,
ნუგზარ არანისელი

◎ როდის აღდგება სამართალი?

საკაშვილის შარანგიებს „ქართულ ოცნებაში“ ლობირებენ

იწყებს თუ არა ხელისუფლება დაპირებული სამართლიანობის აღდგენის პროცესს კვლავ გაურკვეველია. ერთი მხრივ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა შეჩერდა. მეორე მხრივ, საუბარია იმაზე, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ დროებითი მოვლენაა და ეს პროცესი აუცილებლად უნდა დაიწყოს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე თვეში უკვე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია ჩასატარებელი და მმართველ კოალიციას წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ქულები აუცილებლად დასჭირდება, არ არის გამორიცხული კომისიამ მუშაობა მომავალი წლიდან დაიწყოს და ივნისამდე, ანუ თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე ხმაურიანი საქმეც დადოს.

შეგახსენებთ, რომ კანონპროექტის მიხედვით, კომისიას უნდა შეესწავლა იმ პირთა მიერ შეტანილი განაცხადები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ისინი უსამართლოდ გასამართლეს „მძიმე“ და „განსაკუთრებით მძიმე“ დანაშაულებისთვის. „ნაკლებად მძიმე“ დანაშაულებისთვის გასამართლებულებს ასევე ექნებოდათ უფლება, რომ თავიანთი საქმეების გადახედვა მოეთხოვათ იმ შემთხვევაში, თუ მათ თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

კანონპროექტის თანახმად, კომისიას ასევე უნდა ჰქონოდა უფლებამოსილება 100 000 ლარზე მეტი ღირებულების დავებიდან წარმოშობილი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შესწავლისა.

კომისიას უნდა განეხილა საქმეები, რომლებიც საპროცესო გარიგების შედეგად მოგვარდა - შედგა თუ არა საპროცესო გარიგება კანონით დადგენილი შესაბამისი პროცედურების დაცვით. კანონპროექტის თანახმად, თუ კომისია დასკვნიდა, რომ მართლმსაჯულების ხარვეზს ჰქონდა ადგილი, საქმე სასამართლოს უნდა გადასცემოდა, რათა მას საქმე ახალი გარემოებების საფუძველზე განეხილა.

რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერის **თინა ხიდაშელის** განცხადებით, გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია აღარ შეიქმნება, მიღებული არ არის და პირიქით, პროცესი სასწრაფოდ დასაწყებია.

„სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა იუსტიციის მინისტრის განცხადება. როგორც ვიცი, ამგვარი გადაწყვეტილება საბოლოოდ მიღებული არ არის. მიმდინარეობს კონსულტაციები. არ ვიცი, რა ერქმევა – მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია თუ სხვა რამ, მაგრამ ეს პროცესი სასწრაფოდ დასაწყებია. ასე რომ, გადადებაზე ლაპარაკიც ვერ იქნება“, – აცხადებს გაზეთ „ყველა სიახლესთან“ საუბარში თინა ხიდაშელი.

დამატებითი განმარტების გაკეთება საკუთარ განცხადებასთან დაკავშირებით თავად იუსტიციის მინისტრსაც მოუხდა.

„მე არ მითქვამს რომ კომისია აღარ შეიქმნება. მე ვთქვი, რომ ამ ეტაპზე შეჩერდა პროცესი, რომელზეც იყო მოლოდინი, რომ უფრო სწრაფად წავიდოდა... დაისვა კითხვები, რომლებზეც მე პასუხი არ მაქვს, ამაზე პასუხი უნდა გასცეს ეკონომიკურმა გუნდმა. მე ვარ იუსტიციის მინისტრი, რომელსაც ევალებოდა რეფორმის მომზადება და რეფორმა მომზადებულია, მაგრამ არსებობს ლეგიტიმური წმინდად ფინანსურ-ეკონომიკური კითხვები“, – განაცხადა **თეა წულუკიანმა.**

ჩნდება განცდა, რომ ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოების განწყობა და მოთმინება კიდევ ერთხელ მოსინჯოს ამ თემასთან მიმართებაში, განსაკუთრებით წართმეული და ჩამორთმეული ქონების მიმართულებით სამართლიანობის აღდგენის პროცესი შეძლებისდაგვარად გაწელოს.

როგორც უფლებადამცველი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** მიიჩნევს, ეს არის საკითხი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია და ყველაზე მეტად აწუხებს საზოგადოებას. მისი შეფასებით: **„პირველ რიგში, ერთგვარი აუდიტი უნდა ჩატარდეს. ჩვენ გვსმენია სხვადასხვა ციფრები, მაგრამ სინამდვილეში რამდენია, არ ვიცით. ვფიქრობ, რომ ბატონი ფარცხალაძის, შაყულაშვილის და შოთაძის მობილიზება პროკურატურის სისტემის უმაღლეს თანამდებობებზე სწორედ უნდა ემსახურებოდეს ასეთი აუდიტის ჩატარებას. მინდა იმედი მქონდეს, რომ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან მკაცრად გაუფრთხილდება და დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდება საკუთარ თანამდებობას და არ მისცემს საშუალებას პოლიტიკურ ოპონენტებს, რომელთა რიცხვში არიან დამნაშავე რეჟიმის შემოქმედნი, რომ იგი აკრიტიკონ უსაგნოდ.**

ამიტომ მიუხედავად მრავალი შეკითხვისა, ურევია თუ არა თავად ფარცხალაძის, შაყულაშვილისა და შოთაძის ხელი წარსული 9 წლის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებში და იმ უკანონობებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მათ შორის, ფინანსურ პოლიციაში, ესეც ერთგვარი შეკითხვაა, რომელიც საზოგადოებას აწუხებს. ხვალ თუ მოხდა დისკრედიტაცია, იგივე ფარცხალაძის, ეს, რა თქმა უნდა, ზურგში დანის ჩარტყმა იქნება ღარიბაშვილისთვის“, – თვლის ლორთქიფანიძე.

ექსპერტი **გიორგი აბაშიშვილი** თვლის, რომ შეიძლება ხელისუფლებას სურვილი ნამდვილად აქვს და ამ სურვილის გულწრფელობაში მას ეჭვი ნამდვილად არ ეპარება, მაგრამ არის ძალზე სერიოზული პრობლემა, რომელიც უკავშირდება ფაქტობრივ რეალობას – როგორ შეიძლება მოხდეს აღნიშნული ქონების დაბრუნება.

„ვგულისხმობ იმას, რომ თუ პირდაპირი კომპენსაცია იქნება საჭირო ბიუჯეტიდან, ბუნებრივია, ეს ამ ეტაპზე წარმოუდგენელია. მეორე მხრივ, არსებობენ ადამიანები, რომლებმაც ეს ქონება იყიდეს მეორედ და მესამედ, ანუ პატიოსანი მყიდველები, რომლებმაც ამ ქონებაში გადაიხადეს საბაზრო ფასი - მათაც ვერაფერს ვუზამთ. ან მათ უნდა მივცეთ კომპენსაცია და ეს ქონება პატრონს დავუბრუნოთ, ან პირიქით, კომპენსაცია თავდაპირველ კანონიერ მფლობელს მივცეთ. ნებისმიერ, დაახლოებით 99%-ის შემთხვევაში, კომპენსაციამდე მივდივართ, რადგან ეს ქონება ძირითადად გადაყიდულია. ამ რეალობის წინაშე ვდგავართ და ამ დროს ძალიან რთულია, გავარკვიოთ, როგორ შეიძლება ეს ყველაფერი განხორციელდეს“, – აცხადებს აბაშიშვილი.

მისივე აზრით, ბიუჯეტში არ არის ეს თანხა და ძალიან ძნელია რამე არსებითის თქმა. აბაშიშვილი თვლის, რომ ეს გრძელვადიანი პროცესი უნდა იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე შესაძლებელია, სახელმწიფომ დაიფიქსიროს ვალდებულებად.

ეს საკითხის ერთი მხარეა, მაგრამ საზოგადოებაში ასევე ძალიან ხშირად საუბრობენ საკაშვილთან დაახლოებული ბიზნესელიტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. მართალია, ეს ჩანაცვლება რა კონკრეტული სქემით მოხდა, ოფიციალურად უცნობია, მაგრამ არგუმენტად სახელდება ის, რომ წართმეული ბიზნესის თუ ქონების დაბრუნების პრეცედენტი, თუ გამოვრიცხავთ ბიძინა ივანიშვილის მაგალითს, არ გახმაურებულა.

თუმცა, გიორგი აბაშიშვილი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ რაიმე ტიპის ჩანაცვლება მოხდა.

„მე რასაც ვუყურებ, მნიშვნელოვანი ბიზნესები, რაც იყო საქართველოში, არ გაყიდულა, არ გადაყიდულა მეორე-მესამე პირზე, რამაც შეიძლება გაფიქრებინოს, რომ ვინმე ვინმეს ანაცვლებს. ვიცით, რომ ბევრი პროცესი მიმდინარეობს სასამართლოში და გადაწყვეტილებებიც არ არის მიღებული. ჩემი აზრით, პირველი რიგის ამოცანა, რაც უნდა გაკეთდეს, რაკი ასე პირდაპირ ვერაფერი დაბრუნდება ფინანსების არარსებობის გამო, არის ის, რომ ხელისუფლებამ საკუთარ თავზე აიღოს ეს ვალდებულება“.

სახელისუფლებო კულუარებში კი იმაზეც ლაპარაკობენ, რომ საკადრო პოლიტიკაც იმის მიხედვით ტარდება, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესში ვინმემ ზედმეტი პრინციპულობა არ გამოამჟღავნოს.

„არ მინდა მოვლენებს გავუსწრო და უარყოფითი შეფასებისკენ წარვმართო მსჯელობა. ერთი რამ კი ცხადია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ განსახილველ კანდიდატებს შორის, რომლებსაც მთავარი პროკურორის ადგილი უნდა დაეკავებინათ, იყვნენ ისეთი კანდიდატები, როგორიცაა კახა კახიშვილი და მათი კანდიდატურის განხილვის მიუხედავად, წარდგენაც კი არ მოხდა, რა თქმა უნდა, მაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, მართლაც გარკვეულ მართვად-რეგულირებად რეჟიმში ხდებოდეს სამართლიანი სამართლებრივი პირობის აღსრულება.

მსგავსი კანდიდატი რომ ყოფილიყო პროკურორი, იმპერატიულად ვიტყოდი და კატეგორიულად განვაცხადებდი, რომ ასეთ შემთხვევაში, მართლაც გარდაუვალი პროცესები დაიწყებოდა ამ წართმეული ქონების უპირობოდ დაბრუნებისა“, – მიიჩნევს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

იხ. 4 გვ.

◎ „საყვარლის საფლავს ვეძებდი...“

ცხვირიდან ძმარი, თუ ევროკავშირის სამართალი?

ცხვირიდან ძმარი ადინა – გაამწარა, შავი დღე აყარა, სცემა („ხატოვან სიტყვათა თქმანი“. თედო სახოკიას მიხედვით).

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირება, სავსებით სამართლიანად იქნა მიკუთვნებული საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის, პოლიტიკურ მოვლენათა რიცხვს. ამასთან, აღსანიშნავია ის ღირსეულად თავშეკავებული ტონი, რომლითაც ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურნენ ამ ფაქტს.

ეჭვგარეშეა, რომ მათ გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ იმ ურთულესი წინაღობის დაძლევის აუცილებლობა, რაც კანონმდებლობისადმი ჩვენი საზოგადოების ნიჰილისტურ დამოკიდებულებაში მდგომარეობს.

ამ ფენომენს ღრმა, ობიექტური, ისტორიული ფესვები აქვს. საბჭოთა პერიოდში კანონები ადამიანისგან განყენებულად არსებობდნენ, ცხოვრება კი სხვა, დაუწერელ წესებს იყო დამორჩილებული.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეროვნული ხელისუფლების თეორიული მცდელობაც კი, რომ სამართლის საფუძველზე ემართა ქვეყანა, პოლიტიკოსი მაფიოზებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც დაამხეს კიდეც კანონიერი, არაკომპეტენტური ხელისუფლება.

მეორედ მოვლენილი ევროპის მხსნელის და მსოფლიო ტექტონური ძვრების ავტორის ხელში, საქართველოში აღმოჩნდა, რომ ყოფილი კომუნისტური ნომეკლატურისა და მასთან შეზრდილი კრიმინალებისთვის სამართლის და კონონმდებლობის არსებობა საერთოდ აღარ იყო საჭირო, ვინაიდან ქვეყნის განუკითხავად ძარცვასა და გაპარტახებაში უშლიდათ ხელს.

სამართლის ცნება საბოლოოდ დაასამარეს ნაცხროველმა პირანუსელებმა, რომლებმაც ცხოვრებაში კვლავ დააბრუნეს საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი ეს ძირითადი საფუძვლები, ოღონდ გაუკულმართებული ფორმით. მათ მიერ შექმნილი ნებისმიერი კანონი, თუ სხვა სამართლებრივი აქტი მიმართული იყო ამ ფიზიკურად მახინჯი და სულიერად გახრწნილი ხროვის წევრთა ქვენაგრძნობების დაკმაყოფილებაზე და მათი საუკუნო ბატონობის უზრუნველყოფაზე. ამჟამინდელი ხელისუფლების მცდელობა, როგორმე აღადგინოს საზოგადოებაში სამართლებრივი ნორმებისადმი პატივისცემა და მათდამი მორჩილება, დიდხანს არ ასრულდება ორი მიზეზის გამო. პირველი – ობიექტურად გვაქვს უგვანო კანონმდებლობის მთები, რომლებიც არც ლოგიკას და არც სამართლის ზოგად პრინციპებს არ ექვემდებარებიან. მათზე დაყრდნობით სამართლის აღსრულება იმთავითვე უსამართლობას წარმოშობს. და მეორე - საზოგადოებაში იმდენად დიდია კანონმდებლობის მიმართ აპატია და ნიჰილიზმი, რომ ძნელად წარმოსადგენია ამ პრობლემის მოკლე ან საშუალო პერიოდში დაძლევა.

დღეს არსებული მდგომარეობა დიდი საფრთხეების შემცველია, ვინაიდან საზოგადოება კატეგორიულად მოითხოვს არა სამართლის (რომელსაც ამის აღარც სურვილი და არც იმედი აღარ აქვს), არამედ სამართლიანობის აღდგენას. სამართლიანობის აღდგენის მოკლე გზას გვთავაზობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ბ-ნ მინდია უგრეხელიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს სამართლის აღდგენის შემდეგი გამოსავალი: „მიადექი იმას, ვინც დაგაზარალა, ადინე ძმარი ცხვირიდან და ასე აღადგინე მართლმსაჯულება“.

ვინაიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი, სავსებით სამართლიანად, შურისძიების გრძნობითაა გამსჭვალული და ვერ ითმენს მის მტარვალთა თავგასულ ცინიზმს და დაუსჯელობას, ადვილი წარმოსადგენია, რომ მათ ეს წინადადება, მოწოდებად აღიქვან, რაც ემოციურად შეიძლება გამართლებულიც იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სამართალი ამ გრძნობას არ ემორჩილება.

ცხვირიდან ძმრის დენის გარდა, არსებობს სამართლის უზენაესობის მიღწევის შორი გზა, რომელსაც, იმედია, დაკავშირს, რომელიც უმთავრესად სამართლის უზენაესობაზეა დაფუძნებული.

ვადგებით, თუკი შევეცდებით, დავუახლოვდეთ ევროპის

იმ მიზნით, რათა გავაცნობიეროთ, თუ სავალდებულოდ შესასრულებელი რა ფორმის, შინაარსის და რაოდენობის სამართლებრივ აქტებთან გვექნება საქმე, თუკი როდესმე ევროკავშირში გავწევრიანდით, ალბათ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ამ მონაცემებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა.

ევროკავშირში ამჟამად მოქმედებს 34,000 - ზე მეტი სამართლებრივი აქტი, სასამართლოს 12 000 გადაწყვეტილება-ვერდიქტი და 52 000 საერთაშორისო სტანდარტი. ყოველ მათგანს, ევროკავშირის მოქალაქეები და კომპანიები პატივისცემით და მორჩილებით ეპყრობიან.

ძალზედ ძნელია ევროკავშირში ძალაში მყოფი სამართლებრივი აქტების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, ვინაიდან არ არსებობს ინსტანცია, რომელიც ამ სამართლებრივი აქტების ერთიან, ოფიციალურ სიას გამოაქვეყნებდა.

ევროკავშირის სამართლებრივი აქტებიდან, შესასრულებლად სავალდებულოა რეგულაციები, დირექტივები, გადაწყვეტილებები და საერთაშორისო შეთანხმებები. ისეთი აქტები, როგორიცაა მწვანე ფურცლები – ე.ი. ევროკომისიის წერილობითი მიმართვები, რომელთა მიზანიცაა ახალი პოლიტიკური კურსის შესახებ წინადადებათა თაობაზე დეპუტატებისთვის ხელის შეწყობა და თეთრი ფურცლები – ე.ი. ევროკომისიის წერილობითი მიმართვები, რომლებიც კონსულტაციების შედეგად ადგენენ სპეციფიურ ვალდებულებებს ცალკეულ საკითხებზე და კომუნიკაციები – შესასრულებლად არასავალდებულო არიან. რეკომენდაციებს ზოგჯერ იურიდიული ძალა აქვს. ევროპული საბჭოს და ევროპის პარლამენტის რეზოლუციების გამოყენება შესაძლებელია, რათა სიცხადე შევიდეს და ახალი ინტერპრეტაცია მიეცეს სამართლებრივად სავალდებულო აქტებს.

ევროკავშირის სასამართლოს ვერდიქტს შეუძლია, შეცვალოს ევროპული კანონმდებლობის და ხელშეკრულებათა ინტერპრეტაცია.

ისეთი ევროპული ორგანიზაციების სტანდარტებმა, როგორებიცაა (CEN) – სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი, (CENELEC) – ევროპის ელექტრონიკული სტანდარტიზაციის კომიტეტი და (ETSI) ევროპის ტელეკომუნიკაციის სტანდარტიზაციის კომიტეტი – შეიძლება დაავალდებულოს წევრი ქვეყნები, კომპანიები და მოქალაქეები იმავეგვარად, როგორც რეგულაციებმა.

გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციების სტანდარტები სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისათვის, თუკი, ამის თაობაზე ევროკავშირსა და გაეროს შორის არსებობს შეთანხმება. ასეთია მაგალითად **Codex Alimentarius**, რომელიც წარმოადგენს სურსათის შემადგენლობის, მისი წარმოების და უვნებლობის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების, ნორმების, სახელმძღვანელო მითითებების და რეკომენდაციების კრებულს. ეს ნორმები ზესახელმწიფოებრივია.

ტექნიკური სტანდარტები, რომლებიც დაფიქსირებულია დირექტივებში ან რეგულაციებში სავალდებულოა შესასრულებლად. მაგალითად Codex Alimentarius-ის სტანდარტები, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევენ ხორცში ჰორმონების არსებობას, უნდა შეასრულონ იმ ქვეყნებმა, რომლებიც ამ სტანდარტების წინააღმდეგი არიან, თუკი მათ არ სურთ, რომ დაჯარიმდნენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. ევროკომისიის ოფიციალურ ორგანოთა და პირთა მიერ, ევროკომისიის სახელით გაცხადებული გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა.

ევროკავშირის სამართლებრივი აქტები შემდეგი შინაარსისაა:

დირექტივები – წევრ-სახელმწიფოებს ავალდებულებენ, მათ იმპლემენტირებას. თუ როგორ განახორციელებს ამას, თავად სახელმწიფოს გადასაწყვეტია. მაგალითად, ევროკავშირის დირექტივა ქიმიურ ნივთიერებებზე (REACH), ძალაში შევიდა ევროკავშირის არჩევნების შემდეგ, 2009 წლის პირველ ივნისს. ამდენად, წევრ-სახელმწიფოს უფლება არ აქვს, აკრძალოს მის ტერიტორიაზე კონკრეტული ქიმიური ნივთიერების გამოყენება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი თვლის, რომ ეს ნივთიერება იწვევს კიბოს ან სხვა დაავადებებს. მხოლოდ ევროკომისიას აქვს უფლება, დააყენოს წინადადება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის საკითხი. დამოუკიდებლად ეს უფლება არც სახელმწიფოთა პარლამენტებს და არც ევროპულ პარლამენტს არ გააჩნიათ.

რეგულაციები – ევროკავშირის ყველა წევრის პირდაპირ დამავალდებულებელი აქტებია, რომლებიც არ საჭიროებენ ეროვნულ სახელმწიფოთა მთავრობების და პარლამენტების მიერ მათ იმპლემენტირებას. ისინი პირდაპირ გამოყენებადია და სამართლებრივად ძალაში შედიან ამავე დოკუმენტში მითითებული თარიღიდან. უკანონოდ ითვლება სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის რეგულაციების შეცვლა.

გადაწყვეტილებები – სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებისა და მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ისინი უშუალოდ ეხებიან.

რეკომენდაციები – ფორმალურად, არასავალდებულო სამართლებრივი აქტებია.

სასამართლოს ვერდიქტები – ევროკავშირის სასამართლოს ვერდიქტები ყველასთვის პირდაპირ დამავალდებულებელია. თუკი სასამართლო ადგენს კანონის მუხლის ახალ ინტერპრეტაციას, ეს ნორმა უნდა შეიცვალოს.

ზოგადად, კანონმდებლობისადმი ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება ნაკლები ოპტიმიზმის საფუძველს და იმედს იძლევა, რომ საქართველოში ვინმეს, ზემოთ მოყვანილი მონაცემები დააინტერესებს. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლები იმითაც კი არ იწუხებენ თავს, რომ საზოგადოებას განუმარტონ ახლადმიღებული სამართლებრივი აქტების შინაარსი, ძნელად წარმოსადგენია, თუ ვინ ითავებს ევორკავშირის კანონმდებლობის განმარტებას.

არადა, ამ კანონმდებლობის შესწავლის და შემდგომში მათ საფუძველზე სამართლის აღსრულების გარეშე, ჩვენს მიერ ევროპული განვითარების გზის ძებნა, საყვარელი სულიკოს საფლავის ვერმპოვნი მაძიებლის უსასრულო მცდელობას დაემსგავსება.

ბესარიონ კერესელიძე

◎ როდის აღდგება სამართალი?

სააკაშვილის შარანგიებს „ქართულ ოცნებაში“ ლობირებენ

(მესამე გვერდიდან)

დადგება თუ არა სა-კუთრების ხელყოფის ნაწილში სამართლიანობა, მრავალ ფაქტორს უკავშირდება. ერთია, რომ ხელისუფლებას არ სურდა მოსვლისთანავე ბიზნესის დაწიოკება და ეს გამართლებულიც არ იქნებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ სააკაშვილის კარის ბიზნესმენები დღესაც ისევე კარგად გრძნობენ თავს, უკეთესად თუ არა, როგორც წინა ხელისუფლების დროს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – რა გზით ჩაიგდეს ხელში მათ ეს ბიზნესები თავის დროზე. მაგალითად, სააკაშვილის რეჟიმის დროს ბიზნესში აღზევებული შარანგიები, რომელთა სახელსაც ყოფილი ხელისუფლების დროს წართმეული ბიზნესები უკავშირდებოდა, დღესაც მყარად გრძნობენ თავს. ჩვენი ინფორმაციით, ისინი პრეზიდენტ მარგველაშვილის ინაუგურაციაზეც იყვნენ მიწვეულნი, რაც ერთგვარი ჟესტია, რომელიც მათ დღევანდელ მდგომარეობას უსვამს ხაზს.

დიმიტრი ლორთქიფანიძისთვის გაუგებარია, ხელისუფლება თუ არჩევნებამდე კარტელურ გარიგებებში ამხელდა ნავთობთან დაკავშირებულ ბიზნესებს, სადაც მაგალითად, კეზერაშვილის სახელი აქტიურად ფიგურირებდა, დღეს რატომ დუმს ამ თემაზე.

„მაშინ თუ ხდებოდა იმის დასაბუთება, რომ ამ ბიზნესებიდან მიღებული მოგება ვიწრო წრის ინტერესებში იყო, დღეს რატომ აღარ ხდება დასაბუთება იმისა, რატომ არის ნავთობპროდუქტები ძვირი? – ეს ძალზე ლოგიკური კითხვებია, რომელსაც საზოგადოება სვამს და ამასთან დაკავშირებით პასუხები არ არსებობს.

მეორე – ბატონი ხუხაშვილის მთავარ „რევიზორად“ დანიშვნა, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ მასთან აღსარების ჩასაბარებლად დადიან პოლიტიკოსები და ბიზნესმენები... გარდა იმისა, რომ ცინიზმს შეიცავს ეს განცხადება, იმ კითხვებზე ირიბი პასუხიც არის, რომელიც ბიზნესების ჩანაცვლებას ეხება – ხომ არ არის ეს დაკავშირებული ბიზნესების გადმობარების უმტკივნეულო პროცესთან“, – აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

ექსპერტი დემურ გიორხელიძე თვლის, რომ თუ ერთი წლის განმავლობაში ინტენსიურად არ ხდებოდა ქონების დაბრუნება, ესეც გარკვეული ჯგუფის ლობირების შედეგი იყო.

„სხვა განწყობა რომ ყოფილიყო, რაღაც ჯგუფი ადამიანებისა მაინც მიიღებდა უკან ჩამორთმეულ ქონებას. ასე არ მოხდა, ანუ, ეს ვიღაცის ინტერესებში არ შედიოდა. ვნახოთ, ახლა ახალი მთავრობა რას იზამს. სამართლიანობა თუ არ აღდგა, იმ ათასობით ადამიანის, რომელიც წინა ხელისუფლების დროს დაზარალდა, რა პასუხი უნდა გავცეთ, სიმართლე გითხრათ, არ მესმის“, – აცხადებს გიორხელიძე.

მისივე შეფასებით, არა მარტო შარანგიების ჯგუფს, არც ერთ მონოპოლისტს არანაირი პრობლემა არ შექმნია.

„პირველი რამდენიმე თვე შოკი ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ გავლენიანმა ხალხმა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ, „დაალაგა“ ყველაფერი და დღეს ისინი მშვიდად და კარგად არიან. ამიტომაც არ ვითარდება ეკონომიკა და ამიტომაც არის ეკონომიკური აქტივობა დაბალი. ამიტომაც არის ხელმიუწვდომელი ფინანსები ქვეყანაში და ათიათასობით ადამიანი ვერ იწყებს ბიზნეს საქმიანობას. ისინი შესანიშნავად არიან დღეს და სვალაც კარგად იქნებიან, სამაგიეროდ, ჩვენ ყველანი ვიქნებით ისევ მძიმე მდგომარეობაში. სერიოზული პრობლემები სერიოზულ გადაჭრას მოითხოვს. შარანგიებს ხელისუფლებაში დღესაც სერიოზული ლობი ჰყავთ, ეს აშკარაა“, – აცხადებს დემურ გიორხელიძე.

დაიწყებს თუ არა ახალი მთავრობა ერთი წლის განმავლობაში დალაგებული ურთიერთობების დაშლას, ჯერჯერობით ნათელი არ არის. მართალია, ეს საკმაოდ რთული და სათუთი პროცესია, მაგრამ, ალბათ, ღირს ხელისუფლებას მუდმივად ახსოვდეს რისთვის დაუჭირა მას მხარი საზოგადოებამ.

მარიამ თოდაძე

ეროვნული მეცნიერების მომავლისათვის

განვლილი მეოთხედი საუკუნე უმძიმეს პერიოდად დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიაში. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფოებრივი კრიზისი პირდაპირ აისახა ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების ბედზე. მთელი გარე და შინაგანი პირობები იმგვარად აღმოჩნდა მომართული, რომ გაჭიანურებული კრიზისი ამ სფეროში ფაქტობრივ კატასტროფაში გადაიზარდა. თვითკრიტიკულად უნდა ითქვას, რომ არც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც ეროვნული მეცნიერების ყოფილი სისტემა, შეხვდა მზად ეპოქის სერიოზულ გამოწვევას. როდესაც სისტემას არ აღმოაჩნდება შინაგანი რესურსი იმისათვის, რომ მუდმივად განახლდეს, დროის მოთხოვნათა შესატყვისად გარდაიქმნას, მას გარდაუვალად მოშლის გარე რყევები. ასე მოხდა საქართველოს სამეცნიერო სისტემის შემთხვევაშიც, მან ვერ შეძლო დროის მოთხოვნათა შესაფერისად ადაპტირება, თუმცა, იყო ამგვარი გარდაქმნის შეგნება და რამდენიმე ორგანიზაციული მცდელობაც. სახელდობრ, 2003-2004 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შემუშავდა რეფორმის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა აკადემიის სისტემის კვლევითი ინსტიტუტების ოპტიმიზაციას სახელმწიფო ატესტაციის მექანიზმის გამოყენებით და, ამ საფუძველზე, მეცნიერთა სამუშაო პირობების ეტაპობრივ გაუმჯობესებას... მაგრამ მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ამ ძალისხმევას პოზიტიური განვითარება არ ეწერა...

2003 წლის შემდგომი, ე. წ. „ნაციონალური“ პერიოდი განსაკუთრებულ განსაცდელად მოევლინა ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას, რადგანაც ამ შემთხვევაში ქვეყნის ინტელექტუალური განვითარების შემაფერხებელ გარეგან ფაქტორებს თან დაერთო საქართველოს რევოლუციური ხელისუფლების მიზანმიმართული ქმედება ყველა მოქმედი ინსტიტუციისა და სტრუქტურის მოსაშლელად. არსებითად მათ აირჩიეს ეროვნული მეცნიერების განადგურების გზა და ამ მიზნით აამოქმედეს ყველა მექანიზმი — დაწყებული იდეურ-პროპაგანდისტულით და დამთავრებული ორგანიზაციულით. ეს ფორსირებული კამპანია დაგვირგვინდა იმით, რომ 2005 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა 1995 წელს მიღებულ კანონში „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“, რითაც საბოლოოდ თქვა უარი მეცნიერების სფეროს შესაძლებელ რეფორმაზე, წაართვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ფუნქცია და ამით არსებითად უარი თქვა მეცნიერების სისტემური განვითარების ევროპულ გზაზე.

მაშინდელი ხელისუფლების დამოკიდებულება ქვეყნის მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტრუქტურებისადმი იმაშიც გამოიხატა, რომ ის მიზერული საბიუჯეტო რესურსიც კი, რომელიც უკანასკნელ წლებში მეცნიერებას განეკუთვნებოდა, უპირატესად საგრანტო დაფინანსების საკმაოდ გაურკვეველ კალათაში აღმოჩნდა გადატყორცნილი. ხოლო ყოფილი კვლევითი უჯრედების ფინანსური უზრუნველყოფა მინიმალურ დონეზე გაიყინა. ამან გამოიწვია ისედაც მწირი სახსრების არარაციონალური, უშედეგო გაფლანგვა და სამეცნიერო სისტემის სრული მოშლა. აუცილებელია ითქვას, რომ მეცნიერული კვლევების ორგანიზაცია საქართველოში, არსებული მინიმალური დაფინანსების პირობებშიც კი (როდესაც მეცნიერების წილი ბიუჯეტის 0,2 პროცენტსაც არ აღწევს!), შეიძლებოდა ასეთი კატასტროფული არ ყოფილიყო, თუ არა ის სისტემური „შეცდომები“, რამაც მხოლოდ არსებული სტრუქტურების მოშლა განაპირობა, სამაგიეროდ კი სასიკეთო არაფერი შემოუთავაზებია.

საზოგადოებას უნდა შევახსენოთ, რომ გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან მოკიდებული ქართული მეცნიერების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მიღწევა დაკავშირებულია **მეცნიერებათა აკადემიაში გაერთიანებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.** სწორედ ამ ინსტიტუტებში შეიქმნა საერთაშორისო ავტორიტეტის სამეცნიერო სკოლები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის სახელი ღირსეულად დაამკვიდრეს ცივილიზებული მსოფლიოს რუკაზე. პირველ რიგში ამ სკოლების წინააღმდეგ აღმოჩნდა მიმართული აღნიშნული სარეფორმო ღონისძიებები და ეს პროცესი აკადემიის — როგორც სისტემის დაშლით დაიწყო.

ამ გამანადგურებელი კამპანიის წამომწყებნი აშკარად გეგმავდნენ, რომ ნგრევის პროცესს მოკლე დროში დაასრულებდნენ; მათ ნამდვილად ვერ გათვალეს ის, რომ მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი ასეთ დამამცირებელ პირობებშიც კი, ხელფასისა და სამეცნიერო პერსპექტივის გარეშეც, შეინარჩუნებდა მეცნიერებისა და საკუთარი ქვეყნის ერთგულებას!.. ამიტომაც გაგრძელდა დღემდე ეს სისტემური კრიზისი და საქართველოს ახალ ხელისუფლებას უმძიმესი პრობლემები დახვდა გადასაჭრელი. ნაციონალებმა მოასწრეს ისიც, რომ, თითქოს ბოროტმოქმედების კვალის დასაფარად, მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან განათლების სამინისტროში გადამისამართებული ინსტიტუტები, უკვე ყოველგვარი იურიდიული სტატუსის გარეშე, თავად მძიმე დღეში მყოფ უნივერსიტეტებს „გადაულოცეს“. გარდა ამისა, არაერთ ინსტიტუტს კუთვნილი შენობა წაართვეს და შესაბამისი კონტინგენტი სამუშაო პირობების გარეშე დატოვეს; შენობები კი გაყიდეს და დღესაც ამ ფართობებს საჯაროდ აქირავებენ... ამ პროცესების შედეგად დღეისათვის ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ ერთ დროს ძლიერი სამეცნიერო სისტემისაგან მხოლოდ ნამსხვრევებია გადარჩენილი...

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა სწორედ სულზე უსწრო დასაღუპად გამეტებულ ეროვნულ მეცნიერებას და გაჩნდა იმედი, რომ ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა სამეცნიერო სფეროში გადარჩენილი რესურსების შეკოწიწებისა და ახალი აღმავლობის დაწყებისა. ჩვენი მხარდაჭერა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ახალი პოლიტიკური კოალიციისადმი უკავშირდებოდა ქვეყნის განვითარების ბედზე ფიქრს და, არანაკლებ, ეროვნული მეცნიერებისა და განათლების გადარჩენის იმედს, რამდენადაც სახელმწიფოს მომავალი დიდწილად სწორედ ამ საფუძველზე არის დამყარებული. **ევროპულ თანამეგობრობასთან ინტეგრაციის არჩევანი ძვეძანას ავალდებულებს ევროკავშირის უახლეს სტრატეგიებს შეუსაბამოს საკუთარი_განვითარების გეგმები და მიმართულებები.** „ქართული ოცნება“ ამ სასიცოცხლო იდეებით გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და იმედი გვაქვს, რომ კოალიციის გეგმები მალე საქმედ იქცევა. ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყოველი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას კარგად გააზრებული და დროული მოქმედება სჭირდება, რომ ყოველი დაკარგული დღე ამ საქმეში კრიზისის უფრო მეტად გაღრმავებას მოასწავებს...

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც ხელისუფლების მთავარი სამეცნიერო მრჩეველი და არსებითად ერთადერთი ოფიციალური სამეცნიერო ორგანიზაცია, ცხადია, შეუძლებელია განზე გადგეს იმ პროცესებისაგან, რაც ჩვენი მეცნიერების მომავალს შეეხება. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სამეცნიერო საზოგადოება და მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მთლიანად არის ჩამოცილებული ქვეყანაში მეცნიერების ორგანიზაციის პროცესებისაგან, ხოლო ამ ურთულესი საქმის მოგვარებაზე პრეტენზიას აცხადებენ ინკოგნიტო ადამიანთა „ვირტუალური“ ჯგუფები. შედეგად მივიღეთ ყოვლად არაკვალიფიციური დებულება „გრძელვადიანი და მოკლევადიანი“ პროექტების ინსტიტუტებად „დაფუძნების“ შესახებ! არანაკლებ საზიანოა ის არაჯანსაღი აჟიოტაჟი, რომელიც ამ წინადადების გავრცელებას მოჰყვა. ამგვარი ინსტიტუციური პროექტის რეალიზება, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება იმ წარმოდგენებს, რასაც საქართველოში მეცნიერებისა და განათლების სწორ გზაზე დაყენების იმედს ვუკავშირებთ, ის ეწინააღმდეგება თვით კვლევითი ინსტიტუტების რეაბილიტაციის ამოცანას. ამ პროექტის რეალიზება ვერ შექმნის უკეთეს ამინდს მეცნიერების სისტემური გაჯანსაღებისთვის. რაც მთავარია, ამ პროექტის ყურადღების მიღმა აღმოჩნდა ის კვლევითი უჯრედები, რომელთა გადასარჩენადაც უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ძალისხმევა...

გაუგებარია, საიდან იღებს სათავეს ესოდენ არაკვალიფიციური და უმწიფარი ინიციატივები და რა მექანიზმებით იკაფავენ ისინი გზას პრობლემებით ისედაც შეჭირვებული საზოგადოებისაკენ; რა მექანიზმებით ახერხებენ ისინი ისეთი ლეგიტიმური სტრუქტურებისა და კომპეტენტური პიროვნებების იგნორირებას, რომელთა მიმართაც არის მთელი ჩვენი ეროვნული მეცნიერების იმედის თვალი მიპყრობილი — იგულისხმება საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი, საქრთველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. საბედნიეროდ, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი ფხიზელ დარაჯად უდგას მეცნიერთა ინტერესების დაცვას და მნიშვნელოვანი წინსვლაც შეინიშნება საკანონმდებლო და ფინანსური თვალსაზრისით; მაგრამ შესაფერისი პრაქტიკული განმტკიცება ხომ უნდა მოსდევდეს ამ ძალისხმევას?!..

სამწუხაროდ, არსებობს საშიშროება, რომ კიდევ ერთი საბიუჯეტო წელი დაიკარგოს ეროვნული მეცნიერების გადარჩენის საქმეში. აშკარაა, რომ სერიოზული ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე კვლევითი ინსტიტუტები არსებობას ველარ შეძლებენ. ვშიშობთ, კიდევ ერთხელ ვდგავართ საბედისწერო გზაჯვარედინთან და არასწორი გზის არჩევა საბოლოო დაღუპვის ტოლფასი იქნება!.. თუ მეტ სამოქალაქო აქტიურობას არ გამოვიჩენთ, თუ თავად სამეცნიერო ინტელიგენცია არ იგრძნობს სათანადო პასუხისმგებლობას სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და მას ამისი რეალიზების საშუალება არ მიეცემა, უკანასკნელ შესაძლებლობასაც დავკარგავთ იმისას, რომ შევინარჩუნოთ ფასდაუდებელი მეცნიერული მემკვიდრეობა, ფიზიკურად და მორალურად გადავარჩინოთ ის ინტელექტუალური რესურსები, რომელზეც ქვეყნისა და ერის მომავალია დამოკიდებული!..

თუ მეტ სამოქალაქო აქტიურობას არ გამოვიჩენთ, თუ თავად სამეცნიერო ინტელიგენცია არ იგრძნობს სათანადო პასუხისმგებლობას სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და მას ამისი რეალიზების საშუალება არ მიეცემა, უკანასკნელ შესაძლებლობასაც დავკარგავთ იმისას, რომ შევინარჩუნოთ ფასდაუდებელი მეცნიერული მემკვიდრეობა, ფიზიკურად და მორალურად გადავარჩინოთ ის ინტელექტუალური რესურსები, რომელზეც ქვეყნისა და ერის მომავალია დამოკიდებული!..

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებელ ამოცანად მივიჩნევთ:

— გასაჯაროვდეს მეცნიერების ორგანიზაციის პროცესი და ამ საქმეში წარმმართველი როლი დაეკისროთ თავად მეცნიერებს, კერძოდ, ისეთ ლეგიტიმურ სამეცნიერო დაწესებულებას, როგორიც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაა;

— მაღალი კვალიფიკაციისა და რეიტინგის მეცნიერთა მონაწილეობით დაუყოვნებლივ შეიქმნას სამეცნიერო-საორგანიზაციო საბჭო ძვეძნის ახალი სამეცნიერო სისტემის ჩამოყალიბების მიზნით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

◎ წერილი რედაქციას

მიხუთშაბათებული საქმე

პატივცემულო რედაქციას!

უმორჩილესად გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი ქვემორე წერილი. საკითხი ეხება დიდი ქართველი მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის ახალგახსნილ ძეგლს 9 აპრილის ბაღში. დედაქალაქის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა, ქალბატონმა ლუბა კოზმავამ ჩემი 26 ნოემბრის აღშფოთებული წერილი ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალა. ძეგლის გახსნიდან გავიდა 20 დღე, არც სამუშაოები განუახლებიათ და არც რაიმე შეტყობინება გამოუგზავნიათ თუ რას აპირებენ. ვფიქრობ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს ამის შესახებ.

პატივისცემით,
ვახტანგ დავითაია.

თბილისის მერიის აღმინისტრაციის უფროსს, ქალბატონ ლ. კოზმავას

ქალბატონო ლუბა,

თქვენთვის ცნობილია, რომ 20 ნოემბერს 9 აპრილის ბაღში გაიხსნა რამაზ ჩხიკვაძის ძეგლი (მოქანდაკე ზურაბ წერეთელი, არქიტექტორი ვახტანგ დავითაია), ძეგლის პიედესტალის სამუშაოები, რომელიც, ფაქტობრივად, გახსნამდე 3-4 დღით ადრე დაიწყო, მიმდინარეობდა უპრეცედენტო სიჩქარით, „იერიშის“ რეჟიმში, რამაც გამოიწვია სამუშაოს დაბალი ხარისხი: საერთოდ არ შესრულებულა კეთილმოწყობის სამუშაოები (ბორდიურის გამოცვლა, მოშანდაკება, მობელტვა). ამგვარი ექსტრემალური სიტუაციის შექმნა სრულიად გაუგებარია, რადგანაც პროექტი მერიის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმდა ჯერ კიდევ 2013 წლის აპრილში, ნებართვა მშენებლობაზე გაიცა უმოკლეს ვადებში. ჩემთვის ასევე გაუგებარია, რატომ არ ვიყავი მიწვეული პიედესტალის დაკვალვაზე და არც დასმის ნიშნული იყო შეთანხმებული ავტორთან, რომ არაფერი ვთქვათ ქვის ჯიშზე. მე ამ ქვის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ქანდაკებისთვის შეუფერებელი ფერის გამო.

ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობა სამარცხვინოა, ის შეურაცხყოფს რამაზ ჩხიკვაძის ხსოვნას, ასევე ჩემს საავტორო ღირსებას.

აუცილებელია სამუშაოების უმოკლეს ვადაში დამთავრება ავტორის ზედამხედველობით. ველოდები თქვენგან სასწრაფო ზომის გატარებას.

პატივისცემით,
ვახტანგ დავითაია,

ძეგლის ავტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, რუსთაველის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი

26.11.2013 წ.

საკონტაქტო ტელეფონები: 577-73-42-57/222-59-87
ელ. ფოსტა: v.davitaia@gtu.ge

◎ ყოფა

სასახლეებ-ჯიპებიანი მთავრობა და ღატაკთა არმია

ნუთუ ასეთი უსულგულო მთავრობების ღირსია ქართველი ხალხი? ჩვენი ხელისუფლების ცხოვრება, მათი მსუყე ხელფასები, ფეშენებელური სახლები (თუ სასახლეები), ძვირადღირებული ავტომობილები და თვითმფრინავებიც კი იმ გაჭირვების ფონზე, რასაც ჩვენი ერი განიცდის, საზოგადოების (თუ ასეთი გვყავს) აბუჩად აგდებაა. ხალხს ნორმალური პენსიები და ხელფასები როგორ მიეცემა, როცა მთელი სახსრები ჩინოვნიკთა ჯიბეებშია დალექილი. ისინი დიდ სიმდიდრეს დაეპატრონნენ, მხოლოდ გემები და ტანკები აკლიათ და მალე, ალბათ, ამასაც შეიძენენ.

ჩვენს ხელისუფლებას „დემოკრატია“ მხოლოდ ლოზუნგად და საფარად აქვს; კარგად იციან ხალხი არაფერს არ მართავს, ადამიანები მხოლოდ არჩევნებში მხარდასაჭერად ესაჭიროებათ. ამისთვის უამრავ დაპირებებს იძლევიან, 10-20 ლარი თუ მოუმატეს პენსიას ან ხელფასს, ჰგონიათ ააშენეს ქვეყანა; გაჭირვებული ხალხი კი ადვილად „ებმებმა ანკესზე“. გაბითურებულ ხალხს ჰგონია, თუ მთავრობა გამოცვალეს, მათი ცხოვრება გაუმჯობესდება. ის კი არ იცის ბევრმა, რომ ხალხისთვის არცერთი მთავრობა არ შექმნილა, რომ ისინი მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის იბრძვიან. ეს „ბრმა პლუტოსები“ ხალხის ხარჯზე ცხოვრობენ, მათი მძარცველები არიან. როგორც პლუტოსმა დაამკვიდრა სოციალური უსამართლობა, ასეთივე უსამართლო წყობა შექმნა ჩვენმა მთავრობამ დემოკრატიის საფარქვეშ, რამაც ქაოსი და თავაშვებულობა მოგვიტანა. არისტოტელედან დღემდე ვერ გამოინახა დემოკრატიაზე უკეთესი წყობა, რაც ჩვენი პოლიტიკური ელიტის, ფილოსოფოსებისა და მეცნიერების მანკზე მიუთითებს. უნდა შექმნილიყო დემოკრატიაზე უკეთესი პოლიტიკური წყობილება — ზედემოკრატია და ეს პირველ რიგში იქნებოდა სოციალური სამართლიანობის წყობა. სწორედ სოციალური უსამართლობა იწვევს საზოგადოებრივ დაპირისპირებებს, ქაოსსა და განუკითხაობას, სიღატაკეს და მასობრივ ავადმყოფობებს. ღარიბი ადამიანი ავადმყოფად ითვლება, ფსიქოსომატურმა დაავადებებმა რომ ძლიერ იმატა, ესეც ჩვენი დაცემის მაჩვენებელია.

სამარცხვინოა, რომ დღეს, XXI საუკუნეში, ბევრი ადამიანი საკვებს ნაგვის ბუნკერში ეძებს. ამ დროს კი ჩინოვნიკებს უდიდესი ხელფასები აქვთ. რაში სჭირდება ადამიანს თვეში 10-15 ათასი ლარი, როცა სხვას პურის ფული ენატრება? ამ თანხით ხომ ოც ოჯახს მაინც დავაპურებდით? თუ ფული სამართლიანად გადანაწილდება, იგი ყველას ეყოფა, მაგრამ სამართლიანობა არ დამკვიდრდება, სანამ სინდისის დეფექტი იარსებებს. აბა, თუ უთქვამს რომელიმე ჩინოვნიკს, მე დიდი ხელფასი მაქვს, ჩამომაჭერით და ღარიბებს გაუნაწილეთო. ამის ვაჟკაცობა მათ არ გააჩნიათ. პირიქით, უფრო და უფრო მეტს მოითხოვენ და მილიონებზე ისე საუბრობენ, როგორც ერთ ლარზე. ასეთ უნამუსობას ზღაპარშიც ვერ წაიკითხავთ. ჩვენს ჩინოვნიკებს, სურთ საკუთარ შთამომავლებს დაუტოვონ დიდი სიმდიდრე, დიდი ქონება, ცხოვრება რომ გარანტირებული ჰქონდეთ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს **„მოვა განკითხვა ცეცხლითა და მახვილით, რათა შეკრან მეფენი ბორკილებით და დიდებულნი მათნი რკინის ხუნდებით“** (ბიბლიური შეგონებიდან)...

დროა, ჩვენი ხელისუფლება კარგად ჩაუკვირდეს ამ სიტყვებს და ყოველი ღონე იხმაროს სოციალური სამართლიანობის დასამკვიდრებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალური კატასტროფა გარდაუვალი იქნება.

მამია მდინარაძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

◎ ალიან-ჩალიანი

ადვოკატებს ჯვრითა და საქორწინო ბეჭდით არ უშვებენ...

საძართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილისა და ადვოკატ გოგა ონიანის განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლისას ადვოკატებს ჩხრეკენ, საქორწინო ბეჭედსა და ნათლობის ჯვრებს ხსნიან.

როგორც ზაზა ხატიაშვილმა ეწ. მატროსოვის ციხესთან ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ფაქტის მომსწრე უშუალოდ გახდა, როდესაც გოგა ონიანი ცდილობდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლას.

ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, ეს არის სამარცხვინო ქმედება ხელისუფლების მხრიდან.

— მე გავხდი სამარცხვინო ფაქტის მომსწრე, გოგა ონიანს თავისი საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში ხელი შეუშალა ხელისუფლებამ, მან დღეს დაკარგა თავისი სამუშაო დრო და ვერ შეასრულა მოვალეობა. ხელისუფლება დასცინის ადვოკატებს და ახსნევინებენ საქორწინო ბეჭედსა და ჯვარს. გოგა ონიანმა ღირსება არ შეალახინა ციხის ადმინისტრაციას და იძულებული გახდა, ხელისუფლების ამ ბინძური მოქმედების შედეგად დაეტოვებინა საპატიმრო დაწესებულება და ვერ განახორციელა თავისი უფლებამოსილება. ეს არის გაერო-ს ძირითადი კონვენციის „ადვოკატის როლის შესახებ“ დარღვევა. აღნიშნულის შესახებ აუცილებლად მივმართავ საერთაშორისო ორგანიზაციებს, — აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

გოგა ონიანის ინფორმაციით კი, მსგავსი შემთხვევები უკვე ბოლო რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში.

ინტერპრესი

◎ წკეპლიკა

სიტყვა „ჩმორმა“ აღაშფოთა ბარამიძე და ნაცები?!

ერთობ რბილად ნათქვამია სიტყვა „ჩმორი“ თქვენს მიმართ, ნუთუ დღემდე ვერ გარკვეულხართ ჩვენი ხელისუფლების ევროპულ არჩევანში? ნუთუ ეჭვქვეშ აყენებთ მთავრობისა და პარლამენტის თანადგომას უკრაინელი ხალხისადმი? კარგად იცით, მაგრამ უტიფრად გინდათ გადაფაროთ თქვენი „გმირული საქმენი“. მინდა, შეგახსენოთ თქვენი მოწოდება ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ, დაგავიწყდათ 7 ნოემბერი, 26 მაისი? ვის გვერდით იდექით მაშინ, სად იყავით? დაგავიწყდათ ასობით დაშავებული, გარდაცვლილი ადამიანი, უდანაშაულო ახალგაზრდების ჩახოცვა ქუჩებში? რატომ მაშინ ხმას არ იღებდით ბარამიძევ, ნაცებო? დაგავიწყდათ, ხომ „იმედის“ დარბევა? იქნებ ცოცხების ეპოპეაც დაგავიწყდათ?! არ გახსოვთ, როგორ ნერგავდით შიშს, ტყუილს, ძალადობას, როგორ ხელყოფდით კანონდარღვევით კერძო საკუთრებას, აწყობდით საეჭვო ტენდერებს, ახშობდით ქართულ ბიზნესს! ნუთუ დაგავიწყდათ თქვენს მიერ შეთხზული ე.წ. აგენტების — ფოტოგრაფების საქმე, დასმენის, მოსმენის, ფარული ჩანაწერების სამარცხვინო სისტემა, გადატვირთული საპატიმროები. ეროვნულ ღირებულებებთან თქვენი ბრძოლა, განათლების, მეცნიერების სრული დაუფასებლობა, ღვაწლმოსილ ადამიანთა „ჩარეცხვა“, უცხოელებზე კაპიკებად გაყიდული მიწები, სატელევიზიო თეფშების „დაპატიმრების“ სამარცხვინო აქტი, „მე-9 არხისთვის“ განკუთვნილი ძვირადღირებული ტექნიკის შეგნებულად დაზიანება, ბიუჯეტის სრულიად არამიზნობრივი ხარჯვა, უგემოვნებო შოუები, თქვენი სასიამოვნო ძვირადღირებული მოგზაურობანი? დაგავიწყდათ, როგორ „მოუგეთ“ რუსეთს ომი, როგორ აჩუქეთ ქვეყნის 20 პროცენტი და სამხედრო დიდძალი ტექნიკა მზითვად გაატანეთ მტერს?! დამარცხება გამარჯვებად აღიარეთ, ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულნი და დაჭრილები უპატრონოდ დატოვეთ! ათასობით ლტოლვილს ჭრელაჭრელა გეტოები აუშენეთ ხრიოკ მიწაზე და მათთვის დახმარების სახით მიღებული თანხით პრეზიდენტის რეზიდენცია ააშენეთ. რატომ დაჩეხეთ ნაჯახით პარლამენტის ძველი შენობა და როგორ გრძნობთ თავს უხარისხოდ ნაგებ, ჯერაც დაუმთავრებელ ახალ შენობაში, რომელზე დახარჯული ზუსტი თანხა და შენობის მიღების აქტი დღემდე არ გვინახავს?

შინაგან საქმეთა ყოფილო მინისტრო ბარამიძევ, მოგაგონებ აფრასიძეების გადაბუგულ სახლ-კარს, ალმოდებულ კარმიდამოში დამწვარი ადამიანების გვერდით მჯდომმა კუბდარის დაგემოვნება რომ მოისურვე. ჟვანიას მეგობარო, რატომ დღემდე არაფერს ამბობ მისი სიკვდილის ნამდვილ მიზეზზე? თუ...

ნაცებო, თქვენმა გმირულმა საქმეებმა ხომ არ დაგღალათ და დაგაჩმორათ?

ადამიანის ღირსების უარმყოფელნო, ძალადობის, შურის, ღვარძლის, უზნეობის, უსამართლობის, უტიფრობის, თვალთმაქცობის, ფარისევლობის, დიდი ტყუილის მთესველნო, ქვეყნის მოღალატენო, ყოველივე ამის შემდეგ სიტყვა „ჩმორმა“ აღგაშფოთათ?!

ლონდა მდივანი

ბავშვთა პოლიკლინიკას მოზრდილებისაც მიაყოლეს

დედაძალაძის მერიაში გაფაციცებით მუშაობენ ჯერ კიდევ შემორჩენილი სახელმწიფო ობიექტების გასხვისებასა და გაყიდვაზე, უგულავას კანტორის ხალხი ისე გამალებული ეწევა ამ საქმიანობას, თითქოს ეს საკითხი სასწრაფოდ გადასაწყვეტი იყოს, — ამბობენ სპეციალისტები და იქვე დასძენენ, — ჩქარობენ, რადგანაც თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები შორს არაა და ყველაფრის გაყიდვა უნდა მოასწრონ, რაც მოესწრება, თანხები ამოქაჩონ. როგორც ჩანს, წინასწარვე იციან, რომ განწირულები არიან.

2012 წლის 20 ნოემბერს თბილისის მერიამ აუქციონზე გამოიტანა მე-13 პოლიკლინიკა, რომელიც ინვესტორმა კახა ლომსაძემ შეისყიდა, არადა, ის მანამდე უკვე იყო ამავე პოლიკლინიკას დაქვემდებარებული ბავშვთა კლინიკის „შუა ქალაქში“ მეპატრონე. მოზრდილთა მომსახურების სამედიცინო დაწესებულება მთლიანად შენობიანად გაიყიდა. როგორც ქუჩაში დარჩენის პერსპექტივის მქონე მედიკოსები აცხადებენ, მართალია, მათ ინვესტორი პროფილის 5 წლით შენარჩუნებას ჰპირდება, მაგრამ გაურკვეველია მედპერსონალის ბედი 5 წლის შემდეგ. ინვესტორის განმარტებით, ეს ეხება ბავშვთა კლინიკას, სადაც სწორედ მე-13 პოლიკლინიკის სრული შემადგენლობა თავისი აპარატურითა და ა.შ. შეასახლეს, როგორც ორივე კლინიკის წარმომადგენლები აცხადებენ, აქ 5 წლით კი არა, ორი დღითაც წარმოუდგენელია გამართული მუშაობა, ფართის არნახული სიმწირის გამო. ექიმებმა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და მომავლის პერსპექტივაში გარკვევის მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს ახალ მფლობელს. მისგან ბუნდოვანი, არაფრისმთქმელი პასუხების მიღების შემდეგ საქმეში გასარკვევად მერიასაც ესტუმრნენ. აქაც „ნულოვანი“ ყურადღება, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფებმა მერიის წინ დაიწყეს პერმანენტული აქციების ჩატარება, მოთხოვნები უფრო მრავალფეროვანი გახდა, საპროტესტო გამოსვლებზე გარდა სამუშაო პირობების არარსებობისა, დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ ლომსაძე აპირებს მოზრდილთა მე-13 პოლიკლინიკის საბოლოოდ დაფუძნებას ბავშვთა კლინიკის „შუა ქალაქში“ შენობაში, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის მუდმივი ბენეფიციარების მომსახურებასაც კი (არა თუ უბნის სხვა მსურველთა), ჩავარდება სახელმწიფო დაზღვევით განსაზღვრული მომსახურება. ორი კლინიკის ერთ შენობაში განთავსება ავტომატურად გამოიწვევს ორივე სამედიცინო დაწესებულებიდან მედპერსონალის ავტომატურ შემცირებას, რომელთა შემდგომ ბედზე, დასაქმებაზე არავინ ზრუნავს.

გაჩნდა ახალი პრეტენზიები ინვესტორისადმი, მან მიზეზების ახსნისა და განმარტებების გარეშე სამსახურიდან გაათავისუფლა „შუა ქალაქის“ დირექტორი **ვლადიმერ ზარდალიშვილი** და მის ადგილას თავისი კაცი **ლაშა მიქაუტაძე** დანიშნა, არც მას ემადლიერებიან მედიკოსები, ახალი ხელმძღვანელი სისტემატურად ემუქრება მედიკოსებს სამსახურიდან გაყრით. ადანაშაულებს მათ პოლიკლინიკის თანხების მითვისებაში. პროტესტანტების განმარტებით, ახალ უფროსს დღემდე არ დაუფარია სახელმწიფო გადასახადები, არ გაუცია მედპერსონალის ხელფასები და ა.შ.

ბოლოს აქციებმა ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ უკვე გაფიცვაში გადაიზარდა. გაფიცული ექიმები ემსახურებოდნენ მხოლოდ იმ პაციენტებს, რომლებიც გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საჭიროებდნენ.

პროტესტის ამ ფორმამ ცოტათი შეაფუცხუნა მერიის ჩინოვნიკები, აქციის მონაწილეებთან შესახვედრად უგულავამ თავისი ხელდასხმული ხელქვეითი და მოადგილე **ირაკლი აბესაძე** გააგზავნა, მაგრამ მისმა არაკომპეტენტურმა, არაპროფესიონალურმა და „ნაცებისათვის“ დამახასიათებელმა რიტორიკამ კიდევ უფრო გააღიზიანა, დაზაფრა გაფიცულები. აბესაძემ გაფიცულებს მოუწოდა, როგორმე მოეხერხებინათ და ერთ შენობაში დატეულიყვნენ. მერე კი ჯანდაცვის სფეროში დაგროვილ „ბაგაჟს“ პირი მოხსნა და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: **„...თუკი ინვესტორი პოლიკლინიკის დახურვას მოინდომებს, ვერც ამაში ვხედავ პრობლემას. რა საჭიროა საერთოდ ბავშვთა პოლიკლინიკა, თუ ბავშვი ცუდად გამიხდება, საერთოდ საავადმყოფოში მივიყვან, პოლიკლინიკა სულაც არ არის აუცილებელიო“.** პასუხით გაოგნებული თეთრხალათიანები მერის მოადგილის მოკლე გამოსვლას ასეთ მოკლე შეფასებებს აძლევენ: — **რაც მერი, ის მოადგილე. საცოდავმა** (იგულისხმება აბესაძე — **ზ.ბ.**) **ისიც არ იცის, რომ ფასები პოლიკლინიკასა და საავადმყოფოებს შორის მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.**

გაფიცულები ძველი დირექტორის თანამდებობაზე აღდგენას ითხოვენ, მიქაუტაძის შენობაში შეშვებას კი არ აპირებენ.

საპირისპირო მოსაზრებები

ბავშვთა კლინიკა „შუა ქალაქში“ მფლობელი კახა ლომსაძე აცხადებს, რომ არ გეგმავს არავითარ საკადრო ცვლილებებს. ამავე დროს, არ უარყოფს მისი ბრძანებით კლინიკის ყოფილი დირექტორის განთავისუფლებას, რადგანაც იგი „მედპერსონალთან დამოკიდებულებაში მეტისმეტად სუსტი იყო“. იგი ამბობს, რომ **მერიის მიერ აუქციონზე გამოტანილი კლინიკა კანონის სრული დაცვით შეიძინა და პირობებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულებაა შესასრულებელი. რომ არ შევასრულო, სასამართლოში მიჩივლებენ,** — ამბობს ლომსაძე და განაგრძობს, **— მერიას სულ არ აინტერესებს, არის თუ არა ჩემსა და მედპერსონალს შორის შეთანხმება მიღწეული. მთავარია, ვალდებულებები შესრულდეს. ინვესტორი იმასაც ამბობს, წმენდა კლინიკებში არ იგეგმება, ადმინისტრაციები კი შეიცვლებაო.**

ახალი მფლობელი რიხიანად აცხადებს, რომ მის საკუთრებაში არსებულის ვერც ერთი საკითხის დარეგულირებას ვერავინ აუკრძალავს, მათ შორის კადრების შემცირებას და იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაუსაქმებელი არავინ დარჩება.

კლინიკის ახლად დანიშნულ დირექტორს ლაშა მიქაუტაძეს მედპერსონალის პრეტენზიები გაუმართლებლად მიაჩნია. მისი განმარტებით, ამჟამად „შუა ქალაქის“ ყველა გადასახადი და ხელფასები დაფარულია. მიქაუტაძე ეხმიანება მის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს, როდესაც იგი პოლიკლინიკების თანამშრომლებს თანხების მითვისებაში სდებს ბრალს. იგი ამაზე პასუხისმგებლობას არ გაურბის და მის მოსაზრებას შემდგომი გარემოებებით ხსნის. **ექიმებზე წინა დირექტორს კონტროლი დაკარგული ჰქონდა და დაწესებულების მოგებას ექიმები იდებდნენ ჯიბეში. მიქაუტაძეს მოჰყავს კონკრეტული მონაცემები — ბოლო ერთი წლის მონაცემებით კომპანიამ 485 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო, აქედან ხელფასებზე დაიხარჯა 300 ათასი, სხვადასხვა ხარჯებს დასჭირდათ 120 ათასი ლარი. ამ მონაცემების შემდეგ კი გამოდის, რომ მოგება წელიწადში 300 ლარზე მეტი არ იყო. ეს არის „შავი ბუღალტერიის“ კვალი. „შუა ქალაქში“ 10 წელია არანაირი აუდიტი არ ჩატარებულა, კლინიკა მოგებაზე არ იყო ორიენტირებული, ამის გამო მედპერსონალს არ სურს ახალი ხელმძღვანელიო,** — ასკვნის მიქაუტაძე და თვლის, რომ **უკონტროლობას მიჩვეულთ მაკონტროლებელის გაჩენის სურვილი არა აქვთ.**

დასკვნის მაგივრად

გოგი გიორგაძე (სამართალმცოდნე): „აქციებით ფონს გასვლა, მიზნის მიღწევა, სამართლის აღდგენა თითქმის არარეალურია, არც ინვესტორია მართალი, როდესაც ამბობს, ქონება ჩემია და შემცირებასა თუ სხვა საკითხების დარეგულირებას ვერავინ ამიკრძალავსო. ამას ახლად მიღებული შრომის კოდექსი აწესრიგებს, დარღვევებისთვის მნიშვნელოვანი სანქციებია გათვალისწინებული.

როგორც ირკვევა, არც ერთი მხარე არ აპირებს მიმართოს სამართალდამცავ სტრუქტურებს, წინა ხელისუფლების დროს გასაგებია, რომ პროკურატურისათვის, სასამართლოსათვის მიმართვას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც ინვესტორი აუცილებლად აღმოჩნდებოდა ხელისუფლების ელიტას დაახლოებული პირი, მათი ერთგული და ა.შ. მაგრამ 1 ოქტომბრის შემდეგ, სიტუაცია ხომ რადიკალურად შეიცვალა. გაჩნდა ნდობა სამართალდამცავებისადმი, მაშ რა ხდება? — ის, რომ კბილაშვილის უწყებაში საქმეების უსაშველოდ გაწელვამ, შესულ საჩივრებსა და განცხადებებზე არადროულმა რეაქციამ მყისიერად გაჩენილი სამართლის პოვნის იმედი, ნდობა მართლმსაჯულებისადმი ნელ-ნელა შეასუსტა, ამიტომაც, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ვუბრუნდებით კარგა ხნის წინანდელს — აქციების პერიოდს, ერთის მხრივ, და ცოტა ხნის წინათ ღრმად ფესვებგადგმულს — ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნადო, ანუ უკანონობის პერიოდს.

თუ ახალმა პროკურორმა, მისმა განახლებულმა გუნდმა დროულად არ სცადა სიტუაციის რადიკალურად შეცვლა და მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დაკარგა სამართლიანი მართლმსაჯულებისადმი ნდობა, შემდგომ სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვებას სერიოზული წლები დასჭირდება“.

პოლიკლინიკების პრობლემებთან დაკავშირებით აბესაძის „დამოძღვრის“ შემდგომ მერიას კომენტარი აღარ გაუკეთებია, ეს ხომ „ნაცების“ სტილია — გააფუჭებენ საქმე და ეგრევე იმალებიან.

ჯანდაცვის სამინისტრო მართალია, თანაუგრძნობს პოლიკლინიკების მედპერსონალს, მაგრამ აცხადებენ, რომ ვერანაირად ვერ დაეხმარებიან მათ, რადგანაც კლინიკები მერიის დაქვემდებარეებაშია და სამინისტროს მერიაზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტები არ აქვს.

ალბათ, საჭიროა დავის გადაწყვეტაში ჩაერთოს ახლადგამოცოცხლებული პროფკავშირები, უკანასკნელ ხანს მათმა რამდენიმე საქმეში ჩართვამ, სადაც მფლობელებს, ხელმძღვანელებს თანამშრომლები უპირისპირდებოდნენ, ორივე მხარისთვის მისაღებ ფინალამდე მიგვიყვანა.

ზაზა ბილიხოძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **სოსოს დაპირისპირება ჩხუბში გადაზრდილი შელაპარაკება კი არ იყო, ეს იმის მესიჯია, რომ საქართველო არასოდეს შეეგუება ნაცების დაუსჯელობას. ნელ-ნელა, კუსნაბიჯით მიიწევს პროცესები სამოქალაქო დაპირისპირებამდე. ოცნებას ჯერ კიდევ აქვს ხალხის მხარდაჭერა და ბატონო ირაკლი, გამოიყენეთ ეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ დაკარგავთ ხალხის ნდობას, რომელიც ნელ - ნელა იკარგება. ერი მოითხოვს, რომ შეჩერდეს ნაცების დანიშვნა თანამდებობებზე, გამოძიებულ იქნას ყველა რეზონანსული საქმე, მათ შორის ლაფანყურის სისხლიანი შოუ. ნუ აძლიერებთ ნაცებს, თორემ ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, სამშობლო ყოველდღე იკარგება და მეტი რაღა უნდა დავკარგოთ ? როგორც ჩანს, ახალი ხელისუფლების წევრებს, ვერ წარმოგიდგენიათ, რა გელოდებოდათ, რომ ნაცებს გაემარჯვათ. დააფასეთ ერი და მისი მოთხოვნები შეასრულეთ, ასეთ შემთხვევაში თქვენ ვერავინ მოგერევათ, ვერც ევროპა და ვერც ამერიკა. დაამკვიდრეთ სამართლიანი სახელმწიფო.**

● **ინდაურის რეჟიმიდან ჭუკის რეჟიმის ლოდინში გადართულო საქართველო, ნუ განრისხდები, ნუ გაამტყუნებ, კუჭი ხომ მთელ კაცობაზე გადის.**

● **და რა თქვა კახა კალაძემ, ასეთი აჟიოტაჟი რო გამოიწვია? აქაც ქართველი ჟურნალისტების კრეტინიზმი და წინადადებაში მთავარი ფრაზის გაურკვევლობაა... კახას გამონათქვამში ის კი არაა მთავარი, თქვე მართლა დებილებო, რომ, „აფრასიძეები კრიმინალები იყვნენ“, არამედ მათი აყვანა როდესაც მოხდა, იყო თუ არა ხელისუფლების მხრიდან გადაჭარბებული ძალა გამოყენებული, ეს სულ სხვა თემაააა“. აი რას ამბობს მთავარს კახა კალაძე, მთავარი ისაააო ჩემო აბდალო ქართველო კოლეგებო, რომ, ცივილიზებულ სამყაროში როდესაც ადამიანს იჭერენ, სუპერ კრიმინალსაც კი, ცდილობენ, ისე დაიჭირონ რომ, მის სიცოცხლესაც კი საფრთხე არ შეექმნასო. მარა აბა თქვენ ხო როგორც გაწყობთ, ისე იგებთ ყველაფერს?**

● **თუ ფულს არ ჩადებთ, ქართული ბიზნესის პოლიტიკაში სხვა მოიძებნება და ერთხელ ხომ მიიღეთ შედეგები?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ქართულ ოცნებას“ ნათლიმამობაში დასდეს ბრალი

მმართველი კოალიცია ქართულ ოცნებაში აღმოჩნდა - ბიუჯეტის პროექტში პენსიების გადიდების ნაცვლად შემოთავაზებულია სახელმწიფო აპარატის წევრებისა და ხელფასის გაზრდა

მმართველმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო მუშაობა თავისი მართვის მეორე წლის ბიუჯეტზე. პარლამენტში ამ კვირაში შემოსულმა მთავარმა საფინანსო დოკუმენტმა გამოიწვია არა მხოლოდ ოპოზიციის მკაცრი კრიტიკა, არამედ სხვა პარტიებისა და გაერთიანებებისაც.

— ეს — კატასტროფაა, — განაცხადა დეპუტატმა-„ნაციონალმა“ გიორგი ვაშაძემ.

მისი სიტყვებით, 2014 წელს არ არის გათვალისწინებული პენსიების გაზრდა, რომელიც საშუალოდ ამჟამად 150 ლარია. სამაგიეროდ, თითქმის ორი პროცენტით იზრდება სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხვი — მათი ოდენობა 105 ათასი იქნება. ამას გარდა, დამატებით გამოიყოფა 137 მილიონი ლარი სახელმწიფო სექტორში ხელფასების გაზრდისთვის.

— ძირითადად გაიზრდება სასამართლოს და პროკურატურის თანამშრომელთა ხელფასები. ამას გარდა, ვილნიუსში ევროკავშირთან ასოციაციის პარაფირების ფარგლებში ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება, შევქმნათ რამდენიმე ახალი იურიდიული სამართლის სუბიექტი. ბუნებრივია, რომ ხელფასები იქაც საჭირო იქნება, — თქვა ფინანსთა მინისტრმა **ნოდარ ხადურმა.**

მუშაობა სახელმწიფო სექტორში კარგად ნაზღაურდება, ბიუჯეტის მუშაკთა ხელფასები უფრო მაღალია, ვიდრე ბევრი კომერციული სტრუქტურის თანამშრომლებისა. ექსპერტების მტკიცებით, ამას მივყავართ ნათლიმამობასთან და პროტექციონიზმთან.

როგორც თბილისის ავტორიტეტული ყოველკვირეული „ყველა სიახლე“ აღნიშნავს, ქვეყანაში იზრდება არაკვალიფიციური ჩინოვნიკების არმია, რომლებიც სამუშაოზე ნაცნობობით მოეწყვნენ. გამოცემა აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს 7,8 ათას ვაკანსიაზე, სამართალდაცვის მუშაკთა გამოკვლევების თანახმად, საკონკურსო საფუძველზე შეარჩიეს სულ 257 თანამშრომელი. დანარჩენი დაიკავეს ნაცნობობით.

— როდესაც სახელმწიფო სექტორში საზოგადოებრიობასთან კავშირის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხელფასი 2,3 ათასი ლარია, გასაგებია, რომ ამ თანამდებობაზე შეეცდებიან, მოაწყონ მეგობარი ან ნათესავი, — ხაზგასმით აღნიშნავს ყოველკვირეული.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მართვის სტრატეგიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე მიიჩნევს, რომ, კორუფციის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო სექტორში მაღალი ხელფასები კარგია. თუმცა, არის მედლის მეორე მხარეც.

— წინა ხელისუფლების დროს იყო მავნე პრაქტიკა, როდესაც ჩინოვნიკები ლამის ყოველთვიურად ღებულობდნენ კოლოსალურ პრემიებს, — გვითხრა ექსპერტმა ჩვენთან საუბარში. — **ამჟამად გადაწყვეტილია, უარი თქვან ამაზე, იქნება მხოლოდ ხელფასები. საკითხი ის არის, რამდენად დროულია მათი გადიდება, ხელფასები ხომ სახელმწიფო მოსამსახურეებს, ქართული საზომით, ისედაც სოლიდური აქვთ. ეს ყოველივე, რასაკვირველია, ზიანს მიაყენებს ამომრჩეველთა ნდობას ხელისუფლებისადმი.**

ახალი ბიუჯეტით, მნიშვნელოვნად გაიზრდება პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ხელფასიც. მის წინამორბედს მიხეილ სააკაშვილს განსაზღვრული ჰქონდა ყოველთვიურად 4720 ლარი. საქართველოს ახალი ხელმძღვანელის ხელფასი 9 ათას ლარს შეადგენს.

მარგველაშვილს ხელფასს გაუზრდიან გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე მისი ადმინისტრაციის ასიგნაციებიდან.

— ეს ხელისუფლება მიუთითებდა შიმშილის პირას მყოფ საზოგადოებრიობასა და უმუშევრობაზე, დაიწყეს კი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით თავიანთთვის, — განაცხადა პარლამენტარმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ტარიელ ლონდარიძემ.

— სააკაშვილს არც ახსოვდა, რა ხელფასი ჰქონდა, მას შეეძლო დღეში სხვდასხვა ფონდებიდან და დახურული მუხლებიდან დაეხარჯა უფრო მეტი, ვიდრე მისი თვიური ხელფასი იყო. და ინფორმაცია ამის შესახებ უკვე ჩნდება, — ამბობს მამრაძე, **—დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილი ასეთი რამის ნებას თავის თავს არ მისცემს. თუმცა, უზრდიან მას ხელფასს როგორღაც ნაჩქარევად, სათანადო განმარტებების გარეშე. კარგია, რომ პრესა და არასამთავრობო ორგანიზაციები უმალვე ახდენენ ამაზე რეაგირებას. საჭიროა კონტროლი და გამჭვირვალობა.**

პოლიტიკური გაერთიანება „მემარცხენე მოძრაობის“ ლიდერმა იოსებ შატბერაშვილმა ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ ბიუროკრატიული აპარატისთვის ხელფასების გადიდება, ჯერ კიდევ ბევრი სოციალური პრობლემის გადაუჭრელობის პირობებში, „ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა“.

— „ნაციონალებს“ აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მათ მართვის დროს შეიქმნეს მუშაობის ზღაპრული პირობები. ახლა კი „ქართული ოცნება“ ამ გზას დაადგა, — მიაჩნია ამ პოლიტიკოსს.

2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ ქართველი ჩინოვნიკების ხელფასები სასაცილო იყო, და ამიტომ კორუფცია ყვაოდა. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა დაიწყო მაღალი ხელფასების მიღება, რათა თავი აერიდებინათ მექრთამეობისთვის. პირველ ხანებში, ბიუჯეტის ადმინისტრირების გაუმჯობესებამდე, ეს გადიდება ნაზღაურდებოდა, ოფიციალური მონაცემებით, ჯორჯ სოროსის ფონდიდან. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ სუბსიდიების მნიშვნელოვანი ნაწილი მაშინდელ მთავრობაზე, აგრეთვე სახელმწიფო ინსტიტუტების, არმიის, პოლიციის ჩამოყალიბებაზე გამოიყოფოდა ბიძინა ივანიშვილის მიერ, რომელიც იმ წლებში მხოლოდ სამეცენატო საქმიანობით იყო დაკავებული.

ИЗВЕСТИЯ

2010 წელს ჩამოგდებული სტალინის ძეგლი გორში ბრუნდება

მისი გახსნა მოხდება 21 დეკემბრისთვის - „ხალხთა ბელადის“ დაბადების დღისთვის

2010 წელს საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ დემონტირებული სტალინის ძეგლი ამ დღეებში დაბრუნდება მის მშობლიურ ქალაქ გორში, რომელიც თბილისიდან 80 კილომეტრით დასავლეთითაა. თუმცა, მას დააყენებენ არა ცენტრალურ მოედანზე, როგორც ადრე იყო, არამედ ოდნავ მოშორებით — ბელადის სახლ-მუზეუმთან.

— თუ ამინდი შეგვიშლის ხელს — გორში განუწყვეტელი თოვაა, დავაბრუნებთ სტალინს ერთი დღის დაგვიანებით. მაგრამ 21 დეკემბერს, ჩვენი სახელოვანი თანამემამულის დაბადების 134-ე წელს ძეგლს აუცილებლად გავხსნით საზეიმოდ. მანამდე დავამთავრებთ ყველა სათანადო სამუშაოს, — განუცხადა ჩვენს გაზეთს საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის გორის განყოფილების ხელმძღვანელმა **ალექსანდრე ლურსმანაშვილმა.**

დემონტაჟის შემდეგ, რომელიც მოხდა ღამით, რათა გორელებს პროტესტი არ გამოეხატათ, ძეგლი გადამალეს მიგდებული ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე სოფელ კარალეთში ქალაქიდან 7 კილომეტრზე. ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ „ახალ საქართველოში“ ადგილი არ აქვს საბჭოთა მემკვიდრეობას. მაგრამ მოგვიანებით სტალინის თაყვანისმცემლებმა აღმოაჩინეს მონუმენტი და იცავენ მას დღემდე საკუთარი ძალებით. ასევე გადაწყდა, უარი თქვან საბიუჯეტო სუბსიდიებზე ძეგლის დაბრუნებისთვის, თანაც იმ დროს, რომ მუნიციპალური ხელისუფლება მზად იყო გამოეყო ამისთვის დაახლოებით 15 ათასი დოლარი.

— ჩვენ დავაარსეთ სახალხო ფონდი ძეგლის აღდგენისთვის, შევაგროვეთ დაახლოებით 7 ათასი ლარი, — გვიამბობს ლურსმანაშვილი. **— ეს საკმარისია, რომ დავაყენოთ მონუმენტი მუზეუმთან. მაგრამ შემდეგ საჭირო იქნება კიდევ რამდენიმე ათასი, რათა მოვაწყოთ მახლობელი ტერიტორია, გავაშენოთ სკვერი. მაგრამ ეს არაფერია, ვინაიდან ფონდში თანხების შემოსვლა გრძელდება.**

ეს დაადასტურა ფონდის ხელმძღვანელმა **თამაზ ჯაფოშვილმაც,** რომელმაც გვიამბო, რომ „ხალხი მზადაა, შემოიტანოს სახსრები, ოღონდ სტალინი დააბრუნონ ადგილზე“.

— ვიღაცამ ხუთი ლარი შემოიტანა, სხვამ კი ათასი გადმორიცხა, — გვითხრა მან.

ყველაზე გადამკვდარი სტალინელებიც კი ამბობენ, რომ საკითხი შეეხება არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანის პატივისცემას.

— ისტორიის შენახვა — გორელთა ღირსების საქმეა, — ამტკიცებს ლურსმანაშვილი.

ძეგლის აღდგენისთვის, მისი სიტყვებით, შეგროვდა 10 ათასი ხელმოწერა.

მაგრამ ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ამტკიცებენ, რომ ადრე მოხსნილი ბელადის ძეგლის დაბრუნება — ეს ტენდენციაა, რაზეც მმართველმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ თვალი არ უნდა დახუჭოს, თუ საქართველო აპირებს ევროპასთან ინტეგრაციას და არა სსრ კავშირში დაბრუნებას. თავად სააკაშვილი ადრე ამბობდა, რომ ქვეყანაში არ შეიძლება პარალელურად არსებობდეს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი თბილისში და მათი ძეგლები, ვინც ამ ოკუპაციის უკან იდგა.

სექტემბერში აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრში — თელავში თვითნებურად დადგეს სტალინის მონუმენტი დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის მახლობლად.

დეპუტატმა-რესპუბლიკელმა „ქართული ოცნებიდან“ ლევან ბერძენიშვილმა ჩვენს გაზეთს აცნობა, რომ გორში დაბრუნებული სტალინი იქნება „მხოლოდ მუზეუმის ექსპონატი და არა კულტის საგანი“.

— ჩემი აზრით, ეს ძეგლი საერთოდ არ არის საჭირო. მაგრამ ადგილობრივმა საზოგადოებამ ასე გადაწყვიტა. როგორც სამუზეუმო ექსპონატი — ეს არაფერია, — აღნიშნა პარლამენტარმა.

ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მალე შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა მოახდინოს ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მიერ დამტკიცებული თავისუფლების ქარტიის შესრულება.

გორში სოსო ჯუღაშვილმა 16 წლამდე იცხოვრა , სანამ სასწავლებლად არ წავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ძეგლი მას დაუდგეს ჯერ კიდევ სიცოცხლეში — 1952 წელს. მონუმენტს შეუძლია მიიზიდოს უფრო მეტი მნახველი 1957 წლიდან მოქმედ სახლ-მუზეუმში, რომელშიც არის ისეთი ძვირფასი სტალინური არტეფაქტები, როგორებიცაა შინელი, ჩექმები, ჩიბუხი, ჭურჭელი, ტელეფონი. შარშან აქ იყო 30 ათასი სტუმარი. მიმდინარე წლის 11 თვეში კი — უკვე თითქმის 42 ათასი, მათგან 37,5 ათასი უცხოელია. სტალინის დაბადების დღეს მუზეუმი გახსნის ბელადის შესახებ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატის ნიკოლაი ჟუკოვის ნაკლებად ცნობილი გრაფიკული ნამუშევრების ექსპოზიციას. მათ აქ ფონდში ინახავდნენ. ჩვეულებრივად ბილეთი მუზეუმში დაახლოებით 9 დოლარი ღირს, მაგრამ სტალინის დაბადების დღეებში აქ მოსვლა თავისუფალი იქნება.

ИЗВЕСТИЯ

დედამიწის ზურგზე

კანადის პარლამენტში მომწიფდა განხეთძილება სანტა-კლაუსის ძვეშევრდომობის გამო

კანადის პრემიერ-მინისტრის მდივანმა, კონსერვატორმა გააკრიტიკა ლიბერალები არასაკმარისი ძალისხმევის გამო, მისი აზრით, დაიცვან ქვეყნის უფლება ერქვას სანტას სამშობლო. არადა, მას ხომ კანადაში თავისი საფოსტო მისამართიც კი აქვს. საკითხი შეეხო არქტიკასაც, რომელზე კონტროლისთვისაც ხუთი სახელმწიფო იბრძვის.

* * *

ევროპარლამენტი ამზადებს რეზოლუციას უკრაინის შესახებ. მოსკოვი მხარს უჭერს კიევის მისწრაფებას რუსეთის ფედერაციასთან კოოპერაციისკენ

რეზოლუციის პროექტში მხარს უჭერენ უკრაინისთვის საფინანსო დახმარებას საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რასაც ასე ელოდებოდნენ კიევში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას ევროინტეგრაციასთან. ამ დროს მოსკოვში აქტიურად მიუთითებენ გადაკვრით იმაზე, რომ უკრაინის ხელმძღვანელობა უკანასკნელ კვირებში ისწრაფვის მჭიდრო კოოპერაციისკენ სწორედ რუსეთთან და არა ევროკავშირთან.

* * *

აშშ იმუძრავა სანქციებით უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგ. ოპოზიცია ჰპირდება, რომ უკვე 12 დეკემბერს გადასცემენ იანუკოვიჩის პასუხს

თეთრი სახლის წარმომადგენლის სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატები „მიუღებლად მიიჩნევს უკრაინის მთავრობის რეაქციას მშვიდობიან დემონსტრაციებზე“. კონგრესში განიხილება სანქციონირებული კანონპროექტის მიღების შესაძლებლობა. საკითხი შეეხება უკრაინის ოფიციალური პირების ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების აკრძალვას და საბანკო ანგარიშების გაყინვას.

ნორვეგია შვედეთს სთხოვს, ივჯარით გადასცეს მას ციხეები

ნორვეგიის პოლიციის მონაცემებით, ქვეყანაში 1,2 ათასი დამნაშავეა, რომელთაც სჭირდებათ ადგილი გამოსასწორებელ დაწესებულებებში. ეს ნაბიჯი იქნება შუალედური ღონისძიება — საკუთარი პატიმრებისთვის ააგებენ ციხეებს, მაგრამ ამას დრო სჭირდება. შვედები წინააღმდეგი არ არიან — ისინი, სულ ერთია, „პატიმრების“ ნაკლებობას განიცდიან.

როგორ (ვერ) შეეხვდი ნელსონ მანდელას გარდაცვალებამდე ოციოდე დღით ადრე

ერთი შეხედვით, ძნელი გასაგებია, რატომ უნდა მოგინდეს მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში ჩასულ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, საავადმყოფო და საპატიმრო მოინახულო! არა, ვთქვათ, ლეგენდარული მთამაგიდა, აივნებიანი ლონგსტრიტი ან ვიქტორიასა და ალბერტის ულამაზესი სანაპირო, არამედ სწორედაც საავადმყოფო და საპატიმრო!

1967 წელს მთელი მსოფლიო მოიარა გულის გადანერგვის პირველი წარმატებული ოპერაციის ამბავმა. კეიპტაუნელი კარდიოქირურგის კრისტიან ბარნარდისა და მისი პაციენტის ლუის ვაშკანსკის სახელები ყველა პირზე ეკერა. სამწუხაროდ, ვაშკანსკიმ მხოლოდ ორი კვირა იცოცხლა, მაგრამ ეს ოპერაცია მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა.

— კეიპტაუნში რომ ჩავალ, პირველად „გროტე სხიურის“ ჰოსპიტალი უნდა ვნახო, — ჩამიწერია ბლოკნოტში 15 წლის ბიჭს.

კეიპტაუნში, სამხრეთაფრიკის მთავარ დედაქალაქში, 11 ნოემბრის საღამოს ჩავედი და 45 წლის წინანდელი გეგმის თანახმად, მეორე დღესვე ვეწვიე ამ სახელგანთქმულ ჰოსპიტალს, რომელიც ეშმაკის პიკის ფერდობზე მდებარეობს. „ხროოტე სხიური“ — ასე გამოითქმის მისი სახელი აფრიკაანსზე. სანახავი ბევრი იყო და მოსაყოლიც ბევრი მაქვს, მაგრამ ამ ჰოსპიტალსა და მის უნიკალურ მუზეუმზე — სხვა დროს. ახლა, როცა სამხრეთაფრიკის რესპუბლიკამ ნელსონ მანდელას გარდაცვალების გამო კიდევ ერთხელ მიიპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება, საპატიმროსი უნდა ვთქვა. ამ საპატიმროს მონახულება 45 წლის წინათ არ დამიგეგმავს. ვერც დავგეგმავდი. მისი არსებობა ნელსონ მანდელას სახელთან ერთად გავიგე. ეს კი გაცილებით გვიან მოხდა, როცა საბჭოთა კავშირის პრესა-რადიო-ტელევიზია ერთმანეთის მსგავსი მოწოდებებით იყო სავსე:

თავისუფლება ლუის კორვალანს!

თავისუფლება ანჯელა დევისს!

თავისუფლება ნელსონ მანდელას!

საპატიმრო ფართო ყურეში, პაწაწა კუნძულზე მდებარეობს, კეიპტაუნიდან 7 კილომეტრში, კუნძულს რობენაილენდი ჰქვია, რაც აფრიკაანსზე სელაპთა კუნძულს ნიშნავს. 1652 წელს აქ მოსულ პირველ ჰოლანდიელ მეზღვაურებს სელაპებთან ერთად ჩიტები და პინგვინები დახვედრიათ. ორიოდე წელიწადში კუნძულზე კურდღლები გაუშვეს, რომ ყურეში შემოსულ გემებს პროვიანტი შეევსოთ. კურდღლები კი გამრავლდნენ, მაგრამ პინგვინები გადაშენდნენ. 1800 წელს რობენაილენდზე არც ერთი პინგვინი აღარ იყო. მერე მოხდა სასწაული — 1983 წელს აქ კვლავ გაჩნდა აფრიკული პინგვინების კოლონია და დღეს მათი რაოდენობა 15 ათასს აჭარბებს. თავისთავად ძალზე საინტერესოა პინგვინების ბუნებრივ გარემოში ნახვა, მაგრამ ხალხი რობენაილენდზე მათ გამო არ დადის და არც იუნესკოს მსოფლიო საგანძურის ნუსხაში შეუტანიათ ეს კუნძული პინგვინების გამო. არადა, გაუგებარია, როგორ შეიძლება კუნძულზე, რომლის ფართობი სულ რაღაც 5 კვადრატული კილომეტრია, ამდენი პინგვინი ცხოვრობდეს და მასზე ციხისთვისაც დარჩეს ადგილი! ეს კუნძული კი მსოფლიოში სწორედ თავისი ციხით არის ცნობილი. მისთვის მისჯილი უვადო პატიმრობიდან 17 წელი ამ ციხეში გაატარა სამხრეთაფრიკის რესპუბლიკის მომავალმა პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ. მის გარდა ამ ციხეში მოიხადა სასჯელი არაერთმა პოლიტიკურმა პატიმარმა, რომელთა უმეტესობა აპარტეიდის წინააღმდეგ იარაღით მებრძოლი სამხრეთაფრიკელი აქტივისტი იყო. მათ შორის არიან

7-მეტრიანი მანდელა სანტდონ-სიტის მანდელა-სკვერში

ასეთია სანტდონ-სიტის მანდელა-სკვერი ამ დღეებში

მანდელას საკანი რობენაილენდის ციხეში

სამხრეთაფრიკის პრეზიდენტი 2008-2009 წლებში კხალიმა პეტრუს მოტლანტე და ქვეყნის დღევანდელი პრეზიდენტი ჯეიკობ ზუმა. თითოეულმა მათგანმა აქ 10 წელი გაატარა. ასე რომ, პოსტაპარტეიდული სამხრეთაფრიკის ოთხი პრეზიდენტიდან სამი რობენაილენდის ტუსაღი იყო. მხოლოდ ქვეყნის მეორე შავკანიანი პრეზიდენტი თაბო მბეკი გადაურჩა მას, თუმცა „სამაგიეროდ“ ამ ციხეში იჯდა მამამისი, გოვან მბეკი, რომელსაც 1963 წელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და მხოლოდ 1987 წელს გაათავისუფლა ამნისტიით პრეზიდენტმა პიეტერ ვილემ ბოთამ.

1991 წლამდე რობენაიდლენდი ყველაზე დაცული ციხე იყო პოლიტპატიმრებისათვის, 1996 წლამდე კი აქ სისხლის სამართლის დამნაშავეები იხდიდნენ სასჯელს. ხოლო 1997 წლიდან მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი ეს ციხე მუზეუმად არის ქცეული და ამ მუზეუმის პოპულარობა, უპირველეს ყოვლისა, ნელსონ მანდელას სახელს უკავშირდება. კუნძულზე ჩასული ადამიანი, რაგინდ შეზღუდული ფანტაზიის პატრონი იყოს, თავს ამ ციხის პატიმრად წარმოიდგენს, მაგრამ უნაპირო ფანტაზიის პატრონსაც კი გაუჭირდება იმის წარმოდგენა, როგორ უნდა გაატარო აქ მრავალი წელი და როგორ უნდა გაგიმართლოს, რომ აქედან თავდაღწეული, ორიოდ წელიწადში ქვეყნის პრეზიდენტი გახდე.

ამ პირქუშ კუნძულს ყოველდღიურად იმდენი ხალხი სტუმრობს, რომ ბორანის ბილეთი რამდენიმე დღით ადრე უნდა შეუკვეთო, თუმცა, ბორანი დღეში ოთხჯერ გადის ვიქტორიასა და ალბერტის სანაპიროდან.

კუნძულისკენ მიმავალი კეიპტაუნის ხედით ვტკბებოდი, — ძალიან მიყვარს ქალაქების ზღვიდან თვალიერება, ისინი ამ დროს სულ სხვანაირები, უფრო ლამაზები არიან, მაგრამ უკან დაბრუნებისას კეიპტაუნი კიდევ უფრო ლამაზი მეჩვენა. მზე ჩადიოდა, მთამაგიდა ნისლში იყო გახვეული და ახალი საფეხბურთო სტადიონი, რომელიც ბორნის სიჩქარით გვიახლოვდებოდა, ჩამავალი მზის სხივებში ჯერ საფერფლეს ჰგავდა, მერე — ჩიტის ბუდეს, კიდევ უფრო მერე — სამურაბე ტაშტს, სულ მერე — ნავს და ბოლოს საკუთარ თავსაც დაემსგავსა. მე კი ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ეს-ეს არის გამათავისუფლეს მრავალწლიანი პატიმრობიდან და შინ ვბრუნდებოდი შეიარაღებული ბრძოლის გასაგრძელებლად. ხოლო ნანახი და განცდილი თავიდან და გულიდან არ ამოდიოდა. ვერა და ვერ დააბალანსეს ჩიტებმა და პინგვინებმა ციხე-კუნძულის კუშტი ფორმა და შინაარსი. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ნელსონ მანდელასთან, რომელიც ჩემი უჩინარი მეგზური თუ თანამგზავრი იყო სამხრეთაფრიკაში მოგზაურობის მთელი ათი დღის მანძილზე. რობენაილენდზე მე მანდელასთან ერთად ვიჯექი მის ერთკაციან საკანში, მასთან ერთად გავდიოდი მავთულხლართიანი კედლებით შემოსაზღვრულ ეზოში და მასთან ერთად შევნატროდი სევდანარევი შურით რობენაილენდის ჩიტების თავისუფლებას.

იმავე ღამეს სამხრეთაფრიკის კიდევ ერთ დედაქალაქში, იოჰანესბურგში ჩავფრინდი. სანტდონ-სიტიში საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი მელოდა. აქ მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს კონგრესი ტარდებოდა და ელგუჯა მისი მონაწილე გახლდათ. ეს სანტდონ-სიტი იოჰანესბურგის თანამგზავრი ქალაქია, თუმცა, მას შემდეგ, რაც იოჰანესბურგის ცენტრი თითქმის მთლიანად დაცარიელდა და სახელმწიფო დაწესებულებები თუ დიდი კომპანიების ოფისები სანტდონ-სიტიში გადმოვიდნენ, უკვე ძნელი გასარკვევია, რომელი რომლის თანამგზავრია — სანდტონ-სიტი იოჰანესბურგისა თუ იოჰანესბურგი სანტდონ-სიტის. კონგრესის შემდეგ ჩვენ რამდენიმე ექსკურსია გვქონდა დაგეგმილი — იოჰანესბურგში, პრეტორიაში, სოუეტოში, სან-სიტიში...

და ყველგან ნელსონ მანდელა გვახლდა თან. არა მხოლოდ გიდი თუ მუზეუმის თანამშრომელი, მანქანის მძღოლიც და მაღაზიის გამყიდველიც, სასტუმროს პორტიეც და ოფიციანტიც, პოლიციელიც და სხვაც, რაგინდარა თემაზე დაღაპარაკებოდი, მანდელას უეჭველად ახსენებდა. ჯიბეშიც მუდამ გვედო არაერთი მანდელა — 2012 წელს სამხრეთაფრიკის სარეზერვო ბანკის მიერ გამოშვებულ სამხრეთაფრიკული რენდის ახალ ბანკნოტებს მანდელას პორტრეტი ახატია. მანდელა ამა თუ იმ ფორმით სულ ჩვენთან იყო იოჰანესბურგშიც, პრეტორიაშიც, სან-სიტიშიც, ყველგან... ყველაზე დიდი მანდელა კი საკუთარივ სანტდონ-სიტიში გვხვდებოდა ყოველდღე თავისივე სახელობის მოედანსა და ვეება მოლში, რომელსაც მანდელა-სკვერი ჰქვია. ნელსონ მანდელას შვიდმეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება მანდელა-სკვერის მთავარი ღირსშესანიშნაობა და მშვენება გახლავთ. არაერთი მცდელობის მიუხედავად, ეს ძეგლი ვერაფრით დავიმარტოხელეთ მე და ჩემმა ფოტოაპარატმა — ძეგლის წინ მუდამ იდგა მის ფონზე სურათის გადაღების მსურველთა რიგი. სამხრეთაფრიკელები, და არა მარტო სამხრეთაფრიკელები, ისე იღებდნენ მანდელასთან სურათებს, როგორც ეგვიპტის პირამიდებთან ან ეიფელის კოშკთან. ფოტოში, რასაკვირველია, მხოლოდ მანდელას ფეხები ხვდებოდა, მაგრამ მაინც.

მანდელას ძეგლები, მისი პორტრეტები, მისი გამონათქვამები სამხრეთაფრიკის რესპუბლიკაში ყველა ფეხის ნაბიჯზე გხვდება. ნელსონ მანდელათია სავსე სამხრეთაფრიკული პრესა, რადიო თუ ტელევიზია. ის ქვეყანაში უაღრესად პოპულარული და უაღრესად პატივდებულია. რჩება შთაბეჭდილება, და ალბათ ასეცაა, რომ ეს არ არის ზემოდან თავსმოხვეული პოპულარობა, ეს ნამდვილი სახალხო სიყვარული და თაყვანისცემა გახლავთ. თუმცა, არ არის გამორიცხული, სამხრეთაფრიკულმა უთომაც ჩართვისთანავე ნელსონ მანდელაზე დაიწყოს ლაპარაკი, ეს აქ ანეკდოტის თემა არასოდეს გახდება.

იოჰანესბურგის დათვალიერებისას მე და ელგუჯა ბერიშვილს ნამდვილ მანდელასთან შეხვედრის შესაძლებლობაც გვქონდა და ვერაფრით მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ ეს შესაძლებლობა ხელიდან გავუშვი. არა, ჩვენ არაფერი დაგვიგეგმავს, ნელსონ მანდელასთან შეხვედრის შანსი სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად გაჩნდა. ის იყო, იოჰანესბურგის უკვე დაცარიელებული და საკმაოდ საშიშად მიჩნეული ცენტრისაკენ მიმავალ აღმართს შევუყევით, რომ ჩვენმა გიდმა მანქანა აყვავებული ჟაკარანდას ხეებით გადაიასამნისფერებულ ქუჩაზე გააჩერა და თითქოს სხვათა შორის გვითხრა, ნელსონ მანდელას სახლია, აქ ცხოვრობსო.

ჩვეულებრივი სახლი იყო, კოხტა, მწვანეში ჩაფლული. იმ უბანში ბევრი იყო ასეთი. გიდს რომ არ ეთქვა, ნელსონ მანდელას სახლიაო, არაფრით მიიქცევდა ყურადღებას. გარედან დაცვაც კი არ ჩანდა, ან იქნებ არც ჰყავდა არავითარი დაცვა. ეს იყო მხოლოდ, რომ მე-2 და მე-12 ქუჩების ტროტუარები ამ სახლის წინ ხელოვნური ბალახის ხალიჩით იყო დაფარული.

ახლა მანდელა სახლშია-მეთქი? — ვკითხე გიდს. არ მჯეროდა, რომ ამ კედლების მიღმა შეიძლებოდა ის ადამიანი ყოფილიყო, რომლის სახელი ახალი სამხრეთაფრიკის და მეტიც — ახალი, პოსტაპარტეიდული მსოფლიოს სიმბოლოდ იყო ქცეული.

რა თქმა უნდა სახლშია, ის გარეთ აღარ გადისო, — გიდმა, — ამას წინათ იყო ჰოსპიტალში, ახლა კი სახლშიაო. მანდელა 95 წლისაა. ავადმყოფობს. სახალხოდ ბოლოს სამხრეთაფრიკაში ჩატარებული ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე გამოჩნდა 2010 წელს.

მაგრამ ის ახლა აქ არის, ჩვენგან რამდენიმე მეტრის დაშორებით, ზის ალბათ სავარძელში, მუხლებზე პლედი აქვს გადაფარებული და თვლემს. ან იქნებ ფანჯარაში იყურება და ჟაკარანდას იასამნისფერი ყვავილებით ტკბება. შეიძლება სულაც ახალ ამბებს ადევნებს თვალს ტელევიზორში. ან თავის შორეულ წარსულს იხსენებს, რომელსაც ზოგი ტერორიზმად თვლის და ზოგი — რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლად.

პაატა ნაცვლიშვილი.

(დასასრული იძნება)

მანდელას სახლი იოჰანესბურგში

იგივე ადგილი მანდელას გარდაცვალების მეორე დღეს

◎ გაყრა

ჟორდანიამ „ვიტესი“ საბოლოოდ დატოვა

მერაბ ჟორდანია ჰოლანდიურ საფეხბურთო კლუბ არნემის „ვიტესს“ საბოლოოდ დაემშვიდობა.

მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს ჟორდანიამ, რომელიც მანამდე კლუბის მფლობელი იყო, აქციათა საკონტროლო პაკეტი რუს მილიარდერ ალექსანდრ ჩიგრინსკის მიჰყიდა. ეს უკანასკნელი 2010 წლიდან ისედაც „ვიტესის“ მთავარი დამფინანსებელი იყო და კლუბის მმართველობა ხელში საბოლოოდ თავად აიღო. ამის მიუხედავად, ჟორდანია „ვიტესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ რჩებოდა, მაგრამ ჰოლანდიური მედიის ინფორმაციით, სამშაბათს ეს თანამდებობაც დატოვა და ბერტ ტუტერტმა შეცვალა.

ქართველის მიერ გავრცელებული განცხადებით თანახმად, „ვიტესს“ ცვლილებები სჭირდება და რუტერტი სწორედ ის ადამიანია, ვინც კლუბს წინსვლაში დაეხმარება, რადგან იქ არსებულ ვითარებას შიგნიდან იცნობს.

ჰოლანდიური მედიის ცნობით, „ვიტესში“ ჟორდანიას საბოლოოდ წასვლის მიზეზებს არ აკონკრეტებენ. თუმცა, ჰოლანდიელი ჟურნალისტები რამდენიმე ვერსიას ასახელებენ, რომლის გამოც ქართველი და არნემული კლუბი გაიყარნენ. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ჟორდანიამ დასახული მიზანი ვერ შეასრულა. კერძოდ, 2010 წლის აგვისტოში, როდესაც იგი კლუბის მფლობელი გახდა, განაცხადა, რომ 3 წლის შემდეგ არნემელები ჩემპიონის ტიტულს ან მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებდნენ.

გარდა ამისა, კლუბის ყოფილი მეპატრონის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ყოველთვის გამართლებული არ იყო. მილიონები დაიხარჯა იმ ფეხბურთელების შეძენაზე, რომლებიც შემდეგ „ვიტესისთვის“ არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდნენ. ამასთანავე, კლუბში 3 წლის მანძილზე 6 მწვრთნელი შეიცვალა. პლუს ბევრი ფული დაიხარჯა სხვადასხვა მოთამაშეების მენეჯერებზე.

ბერტ რუტერტმა თავისი წინამორბედი შეაქო და თქვა, რომ ჟორდანიამ კლუბის მშენებლობას კარგი საფუძველი ჩაუყარა. მისი აზრით, ქართველმა „ვიტესი“ უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. ასევე, ჟორდანიას სახელს უკავშირდება კლუბისთვის ულტრათანამედროვე სატრენაჟორო კომპლექსის აშენება. ჰოლანდიური პრესა არც იმას ივიწყებს, რომ ჟორდანია გუნდის მოთამაშეებში და „ვიტესის“ გულშემატკივრებში ძალიან პოპულარული იყო.

გიორგი ზოთაძე

◎ ფეხბურთი

დრონი მეფობენ...

იმყო დრო, იტალიური კლუბები ევროპული ფეხბურთის კანონმდებლები იყვნენ. „სერია-ა“-ს შეხვედრები, იცოცხლეთ, დღესაც დიდ ინტერესს იწვევს — იქ ხომ კვლავაც მრავალი ვარსკვლავი თამაშობს, მაგრამ უწინდელი მიღწევებისა რა მოგახსენოთ.

ბუნებრივია, აღმართს ყოველთვის დაღმართი მოსდევს, მაგრამ ისეთ ფიასკოს, როგორიც აპენინელებმა წლევანდელ სეზონში განიცადეს, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. თავად განსაჯეთ — პლეი-ოფში მხოლოდ „მილანი“ გავიდა და ისიც რის ვაივაგლახით, რადგან „აიაქსთან“ გადამწყვეტ საშინაო ბრძოლაში მონტოლივო მინდვრიდან 30-ე წუთზე გააძევეს, ხოლო ტურინის „იუვენტუსი“ და „ნაპოლი“ ევროპის ლიგაში დაქვეითდნენ.

ამ ფონზე აღსანიშნავია გერმანელთა, ინგლისელთა (4-4) და ესპანელთა (3) წარმატება. ასე რომ, დიდი ალბათობით, გაისად მაისში ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალს ისევ ამ ქვეყნების წარმომადგენლები გაითამაშებენ.

„ე“ ჯგუფი. „შალკე“ — „ბაზელი“ 2:0, „ჩელსი“ — „სტიაუა“ 1:0.

საბოლოო მდგომარეობა: „ჩელსი“ — 12, „შალკე“ — 10, „ბაზელი“ — 8, „სტიაუა“ — 3 ქულა.

„ვ“ ჯგუფი. „ნაპოლი“ — „არსენალი“ 2:0, „მარსელი“ — „ბორუსია“ 1:2.

საბოლოო მდგომარეობა: „ბორუსია“, „არსენალი“, „ნაპოლი“ — 12-12, „მარსელი“ — 0 ქულა.

„ზ“ ჯგუფი: „ატლეტიკო“ — „პორტუ“ 2:0, „აუსტრია“ — „ზენიტი“ 4:1.

საბოლოო მდგომარეობა: „ატლეტიკო“ — 16, „ზენიტი“ — 6, „პორტუ“, „აუსტრია“ — 5-5 ქულა.

„თ“ ჯგუფი. „ბარსელონა“ — „სელტიკი“ 6:1, „მილანი“ — „აიაქსი“ 0:0.

საბოლოო მდგომარეობა: „ბარსელონა“ — 13, „მილანი“ — 9, „აიაქსი“ — 8, „სელტიკი“ — 3 ქულა.

კობა კობახიძე

◎ რაგბი

მსოფლიოს ალაფაზე „ბორჯღალოსნები“ ტონგას, აშშ-ს და ჰონგ კონგს შეხვდებიან

საძართველოს 19-წლამდელთა ნაკრები, რომელმაც წლეულს ევროპის ჩემპიონატი მოიგო, 2014 წელს ჰონგ კონგში დაგეგმილ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე ითამაშებს და ჯგუფურ ეტაპზე მეტოქეებად აშშ, ტონგა და მასპინძელი ჰონგ კონგი ეყოლება.

აღნიშნული ოთხეული A ჯგუფში ითამაშებს, B-ში კი ერთმანეთს კანადა, იაპონია, ურუგვაი და ნამიბია გაეჯიბრებიან. კალენდრის მიხედვით, ჭაბუკი „ბორჯღალოსნები“ პირველ ტურში, 7 აპრილს ტონგას ეთამაშებიან, მეორეში — აშშ-ს, მესამეში კი — ჰონგ კონგს.

შეგახსენებთ, რომ ფინალში ჯგუფების საუკეთესონი გავლენ, ტურნირის გამარჯვებული კი 2015 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურს მიიღებს.

2014 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფა. 7-19 აპრილი. ჰონგ კონგი.

A ჯგუფი: აშშ, ტონგა, საქართველო, ჰონგ კონგი.

B ჯგუფი: კანადა, იაპონია, ურუგვაი, ნამიბია.

I ტური, 7 აპრილი

იაპონია-ურუგვაი, კანადა-ნამიბია, საქართველო-ტონგა, აშშ-ჰონგ კონგი.

II ტური, 11 აპრილი

იაპონია-ნამიბია, საქართველო-აშშ, ტონგა-ჰონგ კონგი, კანადა-ურუგვაი.

III ტური, 15 აპრილი

საქართველო-ჰონგ კონგი, აშშ-ტონგა, ურუგვაი-ნამიბია, კანადა-იაპონია.

ფინალები. 19 აპრილი

A4 — B4

A3 — B3

A2 — B2

A1 — B1

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჟიურვეული

რონალდუ „ოქროს ბურთის“ ცერემონიალს დაესწრება

მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავმა კრიშტიანუ რონალდუმ „ოქროს ბურთის“ გადაცემის ცერემონიალზე დასწრება გადაწყვიტა. ამის შესახებ Cadena Cope იუწყება.

ფიფას ერთ-ერთი წარმომადგენელი რონალდუს ტელეფონით ესაუბრა და პორტუგალიელისგან თანხმობა მიიღო. ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერთან არცთუ თბილი დამოკიდებულების გამო, „რეალის“ შემტევი ცერემონიალზე დასწრებას არ აპირებდა, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა.

შეგახსენებთ, რომ „ოქროს ბურთის“ გადაცემის ცერემონიალი იანვარში ჩატარდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მარადონა ცოლთან შერიგებას აპირებს

დიეგო მარადონა თავის ცოლს კლაუდიას უკვე იმდენჯერ შეურიგდა და გაშორდა, რომ მშობლების ამ ყოვლად უცნაური ურთიერთობებით მარადონას ქალიშვილებიც დაიღალნენ და უკვე აღარც კი ცდილობენ, რომ დაშორებული მშობლები შეარიგონ.

უკვე დაახლოებით სამი წელია, რაც დიეგო და კლაუდია კვლავ დაშორებულები არიან და ამ ხნის მანძილზე მარადონას დრო უქმად არ დაუკარგავს — სამი ოფიციალური საყვარელი გამოიცვალა და, სავარაუდოდ, არც ერთდღიან რომანებზე უთქვამს უარი.

ახლა კი ბულვარული მედია წერს, რომ დიეგო მარადონა კვლავ ცოლთან შერიგებას აპირებს და საამისოდ უკვე დაუწყია მოქმედებები. დიდი ალბათობით, მარადონა ცოლს კიდევ ერთხელ შეურიგდება, რადგან აქამდე მისი ასეთი მცდელობები ყოველთვის წარმატებით დასრულებულა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ძიუდო

ჭრიკიშვილი მსოფლიოს პირველი ნომერია

საძართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი ავთანდილ ჭრიკიშვილი 2013 წლის სეზონს 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის ლიდერად ჩაამთავრებს. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს განახლებული რეიტინგ-სია გამოაქვეყნა და მასში ევროპის მოქმედი ჩემპიონი და მსოფლიოს ფინალისტი ქართველი სპორტსმენი კონკურენტებს გვარიანი უპირატესობით უსწრებს.



ახალ რეიტინგში სპორტსმენებს ახლახან ჩატარებული ტოკიოს დიდი სლემის ქულები დაერიცხათ. საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაზე გადახალისებული შემადგენლობით გამოვიდა. მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ გამოცდილ ძიუდოისტთაგან ტატამზე ჭრიკიშვილი და ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) გაიყვანა და ორივემ ბრინჯაოს მედალი და 200 ქულა გამოიმუშავა.

ავთანდილ ჭრიკიშვილმა ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა და ამჟამად უახლოეს მდევართან, ფრანგ ლუის პიეტრისთან 400-ქულიანი ჰანდიკაპი აქვს, მესამეადგილოსან ბრაზილიელ ვიქტორ პენალბერს კი სულაც 694 ქულით უსწრებს. 81 კილოგრამში საუკეთესო ათეულში ლევან წიკლაურიცაა, რომელსაც ტრავმის გამო უკვე რამდენიმე თვეა, ტურნირზე არ უჭიდავია და, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე თვე გაუცდება.

ვარლამ ლიპარტელიანი 90 კილოგრამში მეორე პოზიციას იკავებს და ლიდერს, კუბელ ეშლი გონზალესს მხოლოდ 68 ქულით ჩამორჩება. ასევე მეორეა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ევროპის მოქმედი ჩემპიონი ამირან პაპინაშვილი. მის ანგარიშზე 1896 ქულაა. წონის ლიდერს, იაპონელ ნაოჰიშა ტაკატოს კი 3030 ქულა აქვს.

თავიანთ წონებში საუკეთესო ათეულში არიან ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ. მე-3 ადგილი) და ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ. მე-6 ადგილი). 73 კილოგრამში ზებედა რეხვიაშვილი მე-12 საფეხურზეა. ყველაზე უიმედო მდგომარეობა კი კვლავ 100 კილოგრამშია, სადაც ქართველთაგან ყველაზე მეტი სარეიტინგო ქულა ძიუდოს ფედერაციის ვიცეპრეზიდენტ ლევან ჟორჟოლიანს აქვს. იგი 35-ე ადგილზეა.

გეჟან დოლიძე

◎ რა გვიჯდება ქუთაისის პარლამენტი?

საქართველოს პარლამენტს ცაში გაფრენა 9000 ლარი დაუჯდა

სამდლიანი მუშაობის მიზნით, საქართველოს პარლამენტს 50 დეპუტატის ქუთაისში ჩაყვანა 9 000 ლარი დაუჯდა. კერძოდ, ორი დღის წინ 50 კანონმდებელი ქუთაისში ჩარტერული რეისით ჩააფრინეს, რის გამოც, საკანონმდებლო ორგანოს საკუთარი ბიუჯეტიდან სოლიდური თანხის გაღება მოუწევს.

მართალია, მერვე მოწვევის პარლამენტში კვორუმის საკითხი ტრადიციული პრობლემაა, მაგრამ იმისათვის, რომ მიმდინარე კვირას, პლენარული სხდომების ჩატარება საფრთხის ქვეშ არ დამდგარიყო, საკანონმდელო ორგანოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ დეპუტატები ქუთაისში თვითმფრინავით ჩაეყვანათ.

ქუთაისში დეპუტატების ჩაფრენაში ახალი არაფერია, რადგან რიგი კანონმდებლები აქამდეც დაფრინავდნენ, თუმცა, საკუთარი სახსრებით. გუშინ კი, პარლამენტს 9 000 ლარის გადახდა საკუთარი ბიუჯეტიდან მოუწია.

დეპუტატების ფრენაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს მმართველი ძალა და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური. უმცირესობა კი აცხადებს, რომ „ოცნება“ დაფრინავს, ხოლო ნაციონალები „დაღოღავენ“.

ნოდარ ხადურის განმარტებით, პარლამენტს თავისი ბიუჯეტი აქვს გამოყოფილი და უწყება დამატებით ხარჯებს არ ითხოვს.

იქიდან გამომდინარე, რომ ზამთარი ახლა დაიწყო და წინ გრძელი პერიოდია, დეპუტატები გარძელებენ თუ არა ფრენებს, პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი ზურაბ მარაქველიძე განმარტავს, რომ 9 ათასი ლარი პატარა ფული არ არის, მაგრამ ადგილსამყოფელი გასათვალისწინებელია.

მარაქველიძის ინფორმაციით, გუშინ, ჩარტერული რეისი ყველა დეპუტატისთვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ უმცირესობის წევრებს არ უფრენიათ.

თუ ვინ ჩაფრინდა ქუთაისში, ამის გარკვევა ძნელი აღმოჩნდა, რადგან კანონმდებლებმა ე.წ. კოპიტნარის აეროპორტი VIP გასასვლელიდან დატოვეს. მოქალაქეთა გასავლელით მხოლოდ ანი მიროტაძემ და დავით ბერძენიშვილმა ისარგებლეს.

აღსანიშნავია, რომ უმცირესობის წევრები ქუთაისში ავტომობილებით ჩავიდნენ და დავით ნარმანიას უწყებას მოუწოდებენ გზები გაწმინდოს.

„დავით ნარმანიას თბილისის მერობას უპირებენ და თუ მისი უწყება ასეთი მაგარია და მთავრობაც ასეთი მაგარია, გზებს ვერ გაწმენდენ?! ბოლო ათი წლის მანძილზე, საქართველოში, რიკოთის უღელტეხილი ოც წუთზე მეტ ხანს არ ყოფილა ჩაკეტილი და გზებს რატომ არ წმენდენ?! ფაქტია, რომ „ოცნება“ დაფრინავს, ხოლო ნაციონალები დავღოღავთ“, — განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიორგი ბარამიძემ.

მეორე ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური ქუთაისში ავტომობილით ჩავიდა, თუმცა, ამბობს, რომ ეს პირველი პრეცედენტია, როცა დეპუტატების ფრენის ხარჯი უწყებამ დაფარა.

„გვიკიჟინებენ, რომ ქუთაისში პარლამენტი დატოვეთო, მაგრამ ისიც არ უნდათ, რომ ზოგჯერ, ვიფრინოთ კიდეც?! ვერ ვიქნებით — „ჭრელი პეპელა“ — ნურც მოფრინდებით და ნურც გაფრინდებით. 9 ათას ლარზე ლაპარაკობთ, მაგრამ გავიწყდებათ, 150 დეპუტატისა და 800-კაციანი აპარატის ბინების უზრუნველყოფისთვის, რა თანხა იხარჯება? ამას გარდა, განუზომელ ხარჯებთან არის დაკავშირებული საწვავის ხარჯებიც. ამას თუ დაინგარიშებთ, ნახავთ, რომ 9 ათასზე ცხრაჯერ მეტი თანხები იხარჯება“, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა, რომელსაც კითხვით მივმართეთ — „რატომ არ ჩავიდნენ ქუთაისში დეპუტატები კვირას, რომ ორშაბათს, პარლამენტში გამოცხადებულიყვნენ?“, რაზეც ძიძიგურმა გვიპასუხა, რომ უამინდობის გამო, გზა კვირასაც ჩაკეტილი იყო.

ძიძიგურის პასუხზეა ნათქვამი „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“, რადგან კვირას გზებზე არსებული ვითარება საკუთარი თვალით ვიხილეთ. ამ შემთხვევაში, კვირას პრობლემას გზა კი არ წარმოადგენდა, არამედ ამ პარლამენტში დამკვიდრებული მანკიერი ტრადიცია, რომ დეპუტატები საკანონმდებლო ორგანოში ცხადდებიან სასესიო კვირის ორშაბათს, დღის მეორე ნახევარში, ან სამშაბათ დილით.

რაც შეეხება ხარჯებს, ჩარტერულ რეისში გადახდილი 9 ათასი ლარის გარდა, უწყებას თბილისში დაბრუნებამდე, დეპუტატებისა და აპარატის თანამშრომელთა ბინების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველთვიურად, დაახლოებით 400 ათასი ლარის დაფარვა მოუწევს, შენობის შენახვა 90-100 ათასი ლარი დაუჯდება, ხოლო 80 ავტომობილზე საწვავის გაცემისთვის დაახლოებით 70 ათასი ლარის გადახდა მოუწევს.

თეონა მანაგაძე

გივი ლომინაძე, ანზორ ბურჯანაძე, ვახტანგ ყოლბაია, კლიმენტი ჯანჯღავა, ოთარ ჭითანავა, დემურ გადელია, გენო კალანდია, დილარ ივარდავა, თამაზ იმედაძე, კორნელი კინწურაშვილი, დემურ მიქაძე, ვაჟა აბაკელია, ჯამბულ წულაია, ვაჟა თორდია, გრიგოლ ხვიტია, ჯემალ გახოკიძე, თამაზ ცანავა, კახა არდია, გრიშა შონია ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების, ღირსეული მამულიშვილის

ვახტანგ კვარაცხელიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

დააკავეს „ადიდასის“ ფირმის საქონლის ყალბი დამზადებისთვის

სხვისი სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტზე საგამოძიებო სამსახურმა რამდენიმე პირი დააკავა.

როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სხვი-

სი სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტზე, ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს მოქალაქეები: პოლიკარპე არველაძე, ავთანდილ ოქროპირიძე და ედუარდ აკოფოვი.

— გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა მოქალაქეებმა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, მცხეთაში არსებულ სამკერვალო ფაბრიკაში, „ადიდასის“ ოფიციალური მწარმოებლის შესაბამისი ნებართვის გარეშე, კუსტარულად დაამზადეს და შემდგომ რეალიზაცია გაუკეთეს „ადიდასის“ ფირმის სამარკო ნიშნით ნიშანდებულ დიდი ოდენობით სპორტულ ტანსაცმელს, — აცხადებენ აღნიშნულ სამსახურში.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტერპრესი

◎ დედაქალაქი

„მიუსაფართა კუთხე“ მოსკოვის პროსპექტზე

უსახლკარობა და მიუსაფრობა წლის ნებისმიერ დროში აუტანელია, მაგრამ სიმკაცრით ზამთარი მაინც სხვაზე მეტად დაუნდობელია. სხვა დროსაც აწუხებს ქუჩაში უპატრონოდ დარჩენილ ხალხს სიცივე და შიმშილი, მაგრამ საკუთარი უმწეობისა და უძლურების შეგრძნება ახალი წლის მოახლოებასთან ერთად უფრო მეტად რომ უმძაფრდება, ეს ამბავი სხვას თავი რომ დავანებოთ, მსოფლიო ხალხების უამრავ საახალწლო ზღაპარშია მოთხრობილი.

ზღაპრებში ყველა ჯადოსნური ცვლილება გაჭირვებული კაცის ყოფაში კეთილი ძალის ჩარევით იწყება, რომელიც სხვადასხვა სახით წარმოჩინდება ხოლმე. ასეთი „კეთილი ჯადოსნის“ როლი წლევანდელ მოღუშულ დეკემბერში თბილისელ უსახლკაროებს ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მოევლინა, რომლებმაც მათთვის დროებითი თავშესაფარი მოაწყეს **მოსკოვის პროსპექტის №29-ში.** მართალია, დღესდღეობით დედაქალაქში დაახლოებით რამდენიმე ათასი „ბომჟია“ (მათი ზუსტი ოდენობა არავინ იცის) და ყოფილი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებული ის 60 კაცის დამტევი ხუთი სამხედრო კარავი მართლაც რომ ზღვაში წვეთია, მაგრამ ეს ექვსი ათეული კაცი მაინც ხომ მოცილდება ქუჩას, ცხელ საკვებს ყოველდღე მიიღებს და ღამეს თავის ლოგინში და არა სადღაც ნაგვის ყუთის უკან გაათევს? განა ეს დიდი საქმე არ არის?

კარვებში სინათლეცაა გაყვანილი და შეშის ღუმლებიცაა დადგმული — ყველაფრის მონტაჟი გუშინ დასრულდა. იქ განთავსებული ხალხისთვის ასაწყობ სახლებში ცალკე მოეწყო სამედიცინო პუნქტი, სამზარეულო და სასადილო, ასევე ბიოტუალეტი.

„მიუსაფართა კუთხეს“ მოსკოვის პროსპექტზე პირველივე „მდგმურებიც“ გუშინვე გაუჩნდნენ — თბილისელი ალბერტ სარქისიანი, რომელიც ბოლო ათი წელია, ქუჩაში ცხოვრობს, ხეიბარი კაცი სერგო ქათამაძე, სოხუმიდან დევნილი რუსლან ბერია, რომელიც 13 წელია საკუთარი საცხოვრისის ამაო მოლოდინშია, მანამდე კი რუსეთს იყო გადახვეწილი, მერე იქიდანაც გამოუშვეს, შენ სამშობლოში წადიო, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არც აქ ელოდნენ მაინცდამაინც სულმოუთქმელად...

მოკლედ, ყველა აქაურ ბინადარს თავისი მწარე თავგადასავალი და უბედურებით აღსავსე ბიოგრაფია აქვს, ყველას და ყველაფერს ვერც ერთი საგაზეთო პუბლიკაცია ვერ დაიტევს. ამდენად, ქართველი ძალოვანი სამინისტროების ამ ერთობლივმა აქციამ აქაურ ბინადრებს, რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო, რისთვისაც მადლობა მათ, მაგრამ ერთი სათქმელი ჩვენც გვაქვს და ამას ყოველგვარი ნიშნის მოგების გარეშე ვამბობთ: წინამდებარე მასალაზე რომ მივდიოდით, გზად რამდენიმე უსახლკაროს გადავეყარეთ, რომელიც კითხვაკითხვით ცდილობდა ხუთკილომეტრიან მოსკოვის პროსპექტზე ამ „აღთქმული კუთხის“ მიგნებას, თუმცა კი, გამვლელ-გამომვლელთაგან დანამდვილებით ვერაფერს იგებდა. ის ადგილი ჟურნალისტებმა კი მივასწავლეთ, მაგრამ უკმაყოფილების შეგრძნება მაინც დაგვრჩა: როცა ასეთი სასიკეთო საქმე კეთდება, ამბავი მის შესახებ, უწინარესად, ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით, თავად მომწყობებმაც მაქსიმალურად უნდა გაახმაურონ და ტელევიზიების თუ რადიოარხების ჩვენმა კოლეგებმაც იზრუნონ ცნობის მოსახლეობამდე მიტანაზე.

თუ რატომ იყო ყოველივეს შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია და რატომ შეიტყო ამის შესახებ გაჭირვებულმა ხალმა „უმავთულო ტელეგრაფით“, რომელიც კომუნიკაციის ყველა საშუალებაზე უსწრაფესია, სავსებით გასაგებია: ხუთ კარავში მხოლოდ ექვსი ათეული კაცის დატევაა შესაძლებელი, უსახლკარო კი ათასობით ადამიანია, ამდენად...

მიუხედავად ამისა, მაინც მტკიცედ გვწამს, რომ თავშესაფრის მიღების შანსი ყველას ერთნაირად უნდა ჰქონდეს ისევე, როგორც ინფორმაცია ასეთი სასიკეთო საქმის თაობაზე.

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ჰომო საპიენსი

უებარი წამალი „ბედნიერების ჰორმონი“ ყოფილა

ამერიკელმა მკვლევარებმა უილიამ რაისმა, ურბან ბრაიბერგმა და სერჟ გავრილეტცმა დასკვნა გამოაქვეყნეს: არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას ადამიანებში არა გენები ან აღზრდა, არამედ არასწორად დახვეული ზოგიერთი ცილა განაპირობებს.

რამდენიმე უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევების შედეგად მეცნიერებმა ახალი, მეტად ორიგინალური ჰიპოთეზა წამოაყენეს, რომლებიც, ზოგადად, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმოშობის მიზეზებს, **მათ შორის... ადამიანებშიც ეხება.** ეს ბოლო თეზისი ნუ გაგიკვირდებათ, ბატონებო: ბევრმა, შესაძლოა, არც იცოდეს, რომ **არატრადიციული სექსუალური მოქცევა ცხოველთა სამყაროშიც საკმაოდ ფართოდ გავრცელებული მოვლენაა.** მეცნიერებმა ახსნეს, თუ რატომ ჩნდებიან ლესბოსელი ქალები და გეი-მამაკაცები. ამ ახსნის აუცილებლობა თაობიდან თაობაში ასეთი ხალხის გამუდმებით დაბადებამ განაპირობა — საქმე ისაა, რომ ლესბოსელები და გეები უხსოვარი დროიდან არსებობენ, რაც ისტორიული ქრონიკებით უტყუარადაა დადასტურებული. ისინი ახლაც მრავლად არიან, თანაც ბოლო დროს მათ რიცხვმა ძალიან მოიმატა და **ეს აშკარად ევოლუციური პროცესია.**

ლოგიკა გვკარნახობს, რომ რადგან ჰომოსექსუალისტები ინტიმურ ურთიერთობაში უმეტესწილად თავისივე სქესის წარმომადგენლებთან შედიან, საპირისპიროსთან კი ამას საკმაოდ იშვიათად აკეთებენ, მაშასადამე ბიოლოგიური შთამომავლობის ყოლის ალბათობა მათთვის მინიმალურია. ამდენად, **ევოლუციის პროცესში ისინი თითქოს უნდა გადაშენებულიყვნენ, არადა პირიქით ხდება — მათი რიცხვი სულ უფრო მეტად მატულობს. თანაც საქმე პარადოქსთან გვაქვს: ჰომოსექსუალისტები ხშირად სექსუალური ორიენტაციით სრულიად ნორმალურ ოჯახებში იბადებიან.**

იმის გამო, რომ ეგრეთ წოდებული „ჰომოსექსუალიზმის გენი“ აღმოჩენილი ჯერაც არ არის, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ის სულაც არ არსებობს. ამიტომ მეცნიერები პრობლემას **ეპიგენეტიკის,** ბიოლოგიაში გენეტიკაზე ერთგვარად „ზემდგომი“ სფეროს თვალსაზრისით უდგებიან. ამ შედარებით ახალი სამეცნიერო დისციპლინის სპეციალისტები გენების ექსპრესიის მექანიზმებს შეისწავლიან. გამოკვლევის ავტორების განცხადებით, **ადამიანს ჰომოსექსუალისტად არა გენები, არამედ მათში არასწორად წაკითხული ინფორმაცია აძცევს.** ამის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მაგრად შეფუთული დნკ-ს ჯაჭვები გარკვეულ ცილებზე, ჰისტონებზეა დახვეული, რომლებიც ჩასახვის დროს მამაკაცისა და ქალის ჰისტონები ჩანასახის უჯრედებში ინერგება, სადაც აუცილებელი ინფორმაცია იკითხება, ხოლო მშობლების დნკ-ს ჰისტონები ნადგურდება. მაგრამ ეს მექანიზმი ზოგჯერ მოიშლება ხოლმე, რაც წაკითხვაში დაშვებული შეცდომებისა და გაუნადგურებელი ჰისტონების არსებობაში გამოიხატება. **ამის შედეგად მამრი სქესის ჩანასახს შესაძლოა ჭარბი „ქალური“, ხოლო მდედრისას კი ზედმეტი „მამაკაცური“ ინფორმაცია გამოყვეს.** ამდენად, მკვლევართა მტკიცებით, **გეების გაჩენაზე პასუხისმგებელი არიან დედები, რომლებმაც თავიანთ ვაჟებს ქალური „ნიშანი“ დაადეს, ხოლო ლესბოსელების გაჩენაზე კი მამები, რომლებმაც გოგონებს თავიანთი ჰისტონები „გაადყოლეს“.**

საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ გეებისა და ლესბოსელების გაჩენის სხვა, არანაკლებ საგულისხმო ვერსიებიც არსებობს. მაგალითად, იტალიელი მკვლევარი ანდრეა კამპერიკიანი მაინც გენეტიკური ჰიპოთეზის მომხრეა, თუმცა ამაზე „პასუხისმგებლობას“ ქალებს აკისრებს, რომლებიც მამაკაცური ჰომოსექსუალიზმის გენებს ავრცელებენ. ჩინელი ბიოლოგი იან ლიუ კი მიიჩნევს, რომ **გეებად მამრები თავად გადაიქცევიან იმის გამო, რომ მათ ორგანიზმში სეროტონინის, ანუ როგორც მას უწოდებენ „ბედნიერების ჰორმონის“ დეფიციტია.** ამასთან იგი ამტკიცებს, რომ გაუკუღმართებული ორიენტაციის შეცვლა სავსებით შესაძლებელია, ხოლო მისი წამალი კი იგივე სეროტონინია.

ნინო ალექსანდრია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი გაზეთებიდან

„პატიმრების მდგომარეობა ციხეებში აბსოლუტურად შეცვლილია“

— აცხადებს ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და ირმწუნება, რომ სამართლიანობის აღდგენის კუთხით ძალიან ბევრი რამ გაკეთდა.

— მე ძალიან მაწუხებს ის მდგომარეობა, რაც არის ციხეებში. ვურჩევდი ყველას, რომ შიმშილობით ნუ შეეცდებიან, თავიანთი ჯანმრთელობა დააზიანონ და საკუთარ თავს ავნონ. ჩვენ პატიმრებისთვის ბევრი რამ გავაკეთეთ და კიდევ ვაპირებთ გადავდგათ გარკვეული ნაბიჯები. მუდმივად მაქვს პატიმრებთან კონტაქტი, მაგრამ ამ პროცესს დრო სჭირდება. პატიმრების მდგომარეობა აბსოლუტურად შეცვლილია.

„ახალი თაობა“

„სომხეთის გაძლიერებული შეიარაღება საძართველოს საფრთხეს უქმნის“

— ამბობენ ექსპერტები, — საზღვართან მდგარ რუსულ „ბუფებს“ შეეძლებათ, დააფიქსირონ და მიზანში ამოიღონ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი საავიაციო ბაზიდან — მარნეულის აეროდრომიდან აფრენილი ქართული საბრძოლო თვითმფრინავები. სამხედრო ექსპერტის ვახტანგ მაისაიას თქმით, მას შემდეგ, რაც სომხეთმა ევროკავშირში გაწევრიანებაზე უარი საბოლოოდ განაცხადა, კრემლმა ყაზახეთთან ერთად მას ერთიანი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შექმნა შესთავაზა და ბოლო დღეების გაძლიერებული შეიარაღებაც ამის შედეგია.

„რეზონანსი“

მაჟორიტარული არჩევნები უქმდება?

ამას არ უარყოფს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, — გულახდილად გეტყვით, დღეს რას ვაკეთებთ მაჟორიტარები რაიონებში? მაჟორიტარი წარმოადგენს რაღაც შუამავალ რგოლს ადგილობრივ მმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. როცა საკითხი რთულად მოსაგვარებელია, მაჟორიტარი ერევი და პრობლემა მიგაქვს მთავრობამდე. მოდით, გულახდილად ვთქვათ, როცა სისტემა გამართულად მუშაობს, ეს შუამავალი რაღა საჭიროა.

„ალია“

◎ ერიჰა!

ფრთხილად, ელექტროშოკერი!

ძალმა მიმართ ძალადობის, მით უმეტეს გაუპატიურების მხრივ ისრაელი მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა: იქ ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი იქაური ფირმის სპეციალისტებმა ქალის საგანგებო საცვლები მოიგონეს, რომელიც მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს... სექსუალური ძალადობისგან დაიცავს!

საქმე ისაა, რომ ისრაელის საზოგადოებაში ყოველ გაუპატიურებას ისეთივე რეზონანსი მოჰყვება ხოლმე,როგორც ნებისმიერ ტერორისტულ აქტს. კანონმდებლობა კი ძალადობის ამ გამოვლინების მიმართ წლიდან წლამდე მკაცრდება. ქალის ჩივილის შემთხვევაში მამაკაცის მხრიდან ფიზიკური დაახლოების ნებისმიერი ცდა შესაძლოა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი გახდეს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ებრაელ ქალბატონებს კანონის დაცვის გარდა ფიზიკური დაცვაც სჭირდებათ.

ქალის ახალი საცვლის დახევა ან დანით გაჭრა შეუძლებელია, მისი გახდა მხოლოდ საგანგებო შესაკრავის გახსნის შემდეგაა შესაძლებელი, რომელიც იმდენად ეშმაკურადაა დამალული, რომ სიჩქარეში მოძალადე მას ვერასდროს მიაგნებს. ამ ტრუსების მწარმოებლები ტრაბახობენ: მათი პროდუქცია სულაც არ ჰგავს შუასაუკუნოვან „ერთგულების ქამარს“, მას მოდური დიზაინი აქვს და არც ტანსაცმელში ჩანს. ტელევიზიით ვიდეოკლიპს აჩვენებენ, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორი სერიოზულობით ხაზავენ დაფებზე მოდელიერები საცვლის ესკიზებს, ხოლო ქალიშვილები საკუთარ თავზე მის სარგებლიანობას რეკლამირებენ. სასაცილო ისაა, რომ ამ ვიდეორგოლში მონაწილე ქალიშვილებს ასეთებს ისეთი მჭმუნვარე გამომეტყველება აქვთ, თითქოს მათ მართლაც ყოველ დღე რამდენჯერმე აუპატიურებდნენ.

თუმცა, მთელი აურზაურის მიუხედავად, ებრაული საცვლები მაინც არაა „ტექნიკის ბოლო სიტყვა“. ცოტა ხნით **ინდოელებმა მწარმოებლებმა GPS-ით აღჭურვილი საცვლები წარმოადგინეს — ამის მიზანი ისაა, რომ პოლიციამ უმალ დაადგინოს, თუ კონკრეტულად სად ხდება გაუპატიურება. გარდა ამისა, ტრუსი აღჭურვილია... ელექტროშოკერით (?!).** შეგიძლიათ წარმოადგინოთ მოძალადის სიფათი, როცა უადგილო ადგილზე შეღწევის მცდელობისას ძლიერ ელექტროდარტყმას მის „სიამაყეს“ მიაყენებენ?!

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ ინცხალი ანეკდოტები

მიმდინარეობს გადაცემა „ყველაზე ჭკვიანი“. წამყვანი სვამს კითხვას „სტაფილო, ხახვი, კარტოფილი, მერსედესი. რომელია ამათგან ზედმეტი?“ მეხუთეკლასელი მიხო უპასუხებს:

— სტაფილო, ხახვი, კარტოფილი.

* * *

— მამი, გველები როგორ ლაპარაკობენ?

— დედიჯან, რად დუმხართ? ვერ ხედავთ, თქვენს შვილიშვილს აინტერესებს, — მიუბრუნდება კაცი სიდედრს.

* * *

ძმარი მივლინებიდან დაბრუნდება და ცოლს საყვარელთან წაასწრებს საწოლში. გადარეული ქმარი ცოლის საყვარელს ებრძოლება და ახრჩობს. ცოლი კივილით გარბის მეორე ოთახში. მოიხუბართ კი ქანცი გაუწყდათ და ქმარმა თავისი ცოლის საყვარელს შესთავაზა:

— მოდი, თავი მოვიმკვდარუნოთ, ოთახში დაბრუნებული ცოლი კი ჩვენგან ვისაც დაიტირებს, იმისი იყოს.

შეთანხმდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა... ნელა იღება კარი, ცოლი ყურადღებით ათვალიერებს იატაკზე გაშხლართულ მამაკაცებს და ამბობს:

— ჟორა, შემოდი. ამათ ერთმანეთი დაუხოცავთ.

* * *

— ცოლი შვებულებაშია. შარვლები კი საშინლად დამიბინძურდა. ამიტომ ჯინსი ვიყიდე, მაგრამ გრძელი გამოდგა და მთელი ღამე ვამოკლებდი.

— ყოჩაღ, მაგარი ხარ! მაგრამ შორტებით რად მოხვედი?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24